qui signifie qu'ils vont chercher les livres en ligne et dans leur propre langue. Après cela, que remarquons-nous ? Les gens viennent et lisent de la littérature, mais dans une très mauvaise traduction. Ils commencent à penser que l'auteur du livre n'est pas bon, et commencent également à ne plus vouloir lire. Je pense que nous pouvons créer des règles pour le droit de publication sur Internet. Si quelqu'un a traduit de la littérature, il/elle doit passer des tests de publication et à la fin, le texte doit être vérifié par les spécialistes. Je sais que ce sera une étape très difficile, mais après un certain temps, nous pourrions contrôler Internet et promouvoir la lecture de bonne qualité auprès des jeunes.

Mots-clés: méthodes, traduction, traduction contemporaine, droit de publication, interprétation, littérature

Abstract: I would like to start with the fact that these days it is very important that people read, you can ask me why? Because now people read less than in the past and it's a huge problem for our contemporary world. To tell the truth, I think that we need to start propaganda in the whole world to promote reading. Yes, we need to understand how we will do it, because now computer games have captured the whole world. After that, of course, we need to organize a lot of elements correctly. For example, translations of texts. Why is it important? Because now people do not read that much printed book, which means they go online and start looking for literature in their own language. After that, what do we see? People come in and read literature, but with a very poor translation. They begin to think that the author of the book is not good, and also begin to be disappointed with the reading. I think that we can create some rules for publication on the Internet. If someone translate some literature pieces, he/she must pass some tests for having the right of publication and in the end, the text should be checked by specialists. I know that this will be a very difficult process, but after some time we will be able to control the Internet and promote reading among young people.

Keywords: methods, translation, contemporary translation, right of publication, interpretation, literature

Manana GHARIBASHVILI, Docteur en Philologie classique, Enseignante au Centre de langues, Université d'État Iv. Javakhishvili de Tbilissi, Géorgie

რომაული პოეტური ტექსტების ქართულად თარგმნის თავისებურებანი

თეზისები: ცნობილია, რომ თარგმანი მეტად დიდ ენერგიასა და შრომას მოითხოვს, როცა გინდა, რომ დედნის ინტონაცია, განწყობა, უმთავრესი სათქმელი სრულყოფილად იყოს გამოხატული და ქართულად ეს ყოველივე ბუნებრივად ჟღერდეს. ამასთან, პოეზიის თარგმნა კიდევ უფრო რთული საქმეა და გაცილებით მეტ ძალისმეხვას საჭიროებს, მით უფრო, თუკი სათარგმნ მასალად წინ მკვდარი ენები გიდევის - ტექსტები ძველბერძნული და რომაული ლიტერატურიდან.

ისიც გავიხსენოთ, რომ ანტიკური პოეზია რითმას არ ცნობს, რიტმს კი ამ ენათა პოეზიაში ქმნის გრძელი და მოკლე ხმოვნების შემცველ მარცვალთა კანონზომიერი თანმიმდევრობა, ანუ მათი ოდენობა (კვანტიტეტი), ამდენად მათი ლექსთწყობა მეტრული, ანდა კვანტიტეტურია. ასე რომ, ძირშივე მეტად საჭოჭმანოა ბერძნულ-რომაული საზომების ქართულ ენაზე გადმოტანა, რადგან ქართული ლექსთწყობა კვანტიტეტურისაგან სრულიად განსხვავდება, იგი კვალიტეტურია, ანუ აქ ლექსის რიტმულობის საფუძველს ან მარცვალთა თანაბარი რაოდენობა ქმნის (სილაბური ლექსთწყობა), ანდა მახვილიანი და უმახვილო მარცვლების კანონზომიერი თანმიმდევრობა (სილაბური-ტონური ლექსთწყობა); ერთი სიტყვით, რომელ ლექსთწყობასაც არ უნდა მიაკუთვნონ ქართული ლექსი - სილაბურსა თუ სილაბურ-ტონურს, ის მკვეთრად განსხვავდება ბერძნულ-რომაული ლექსთწყობისაგან და ამიტომ ამ საზომების ქართულ ენაზე გადმოტანა გარკვეულ პირობითობას ემყარება. მაგრამ გარდა მეტრული სირთულეებისა, არსებობს მრავალი წინაღობა, რომელიც მთარგმნელმა უნდა დაძლიოს, თუკი ანტიკურ ენათა ტექსტები გადმოაქვს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკური ხანის რომაელ პოეტთა ტექსტები სირთულის მხრივ ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება: ჩვენ მიერ თარგმნილი ავტორების - ოვიდიუსის, ჰორაციუსის, პროპერციუსის, ტიბულუსის, კატულუსის, ვერგილიუსის პოეზია სრულიად სხვადასხვაგვარ სირთულეს გვიქმნიდა, მაგრამ ამ მოხსენების ფარგლებში გვინდა ვისაუბროთ მხოლოდ კონკრეტულად ვერგილიუსის ბუკოლიკური პოეზიის თავისებურებებზე.

პუბლიუს ვერგილიუს მარონი უყოყმანოდ პირველხარისხოვან პოეტად მიიჩნევა, მისი „ბუკოლიკები“ ადრეული ნაწარმოებია, რომელმაც მას თავიდანვე გაუთქვა სახელი. „ბუკოლიკები“ პასტორალურ, მწყემსურ ცხოვრებას გვიხატავს: ბუნებასთან ახლოს ყოფნის ჭირსა და ლხინს, პოეტურ შეჯიბრებებს, შიგადაშიგ სასიყვარულო ურთიერთობებს. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ვერგილიუსის ღირსებათა დიდი ნაწილი, რაც ენობრივ ძალასა და სილამაზეშია გამოხატული, თარგმანს უსხლტება და მისსავე ლათინურში რჩება. ცხადია, სოფელი და სოფლური შრომისა და გართობის განწყობილებანი ვერგილიუსისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ლექსის გარეგნული ბრწყინვალეობა: მთავარია, სტრიქონი მაქსილამურად აივსოს ენერგიითა და მოძრაობით (განსხვავებით თეოკრიტოსისგან), ვერგილიუსისთვის მთავარია სიტყვების ერთმანეთთან კავშირი, მათი მიზიდულობა და განზიდულობა; ხოლო რა სათქმელს იტყვის - თეოკრიტოსისას თუ თავისას, ეს უკვე მეორეხარისხოვნად ესახება. უპირველესად, იგი ენობრივ სილამაზეზეა ორიენტირებული, რისი გადმოცემაც სხვა ენაზე ძალზე რთულია; თუმცა არიან ისეთი პოეტებიც, რომელთა სამიზნეც ლექსებში განცდათა სიმძაფრე, ანდა შეფარული ირონიაა, ნახევარტონები, უშუალობა (კატულუსი), მართალია, ამ დროს მთარგმნელი სხვა ტიპის სირთულეების წინაშე დგება, მაგრამ ამ ყველაფრის გადმოცემა

ერთი ენიდან მეორეზე უფრო შესაძლებელია, ვიდრე სტრიქონის ელვარებისა (ვერგილიუსი). გარდა ამისა, ვერგილიუსის „ბუკოლიკებს“ მხოლოდ პირობითად შეიძლება დაერქვას ლირიკული. ეს ის ლირიკა არ არის, რომელსაც თანამედროვე მკითხველი გულისხმობს და იცნობს. მისი პოეზიის ეს თავისებურებაც მთარგმნელმა უთუოდ უნდა გაითვალისწინოს, რადგან თარგმანში გადამეტებული „ლირიკულობა“ ტექსტს ორიგინალთან დააშორებს, რაც რომაელი პოეტის „ლალატი“ იქნება.

ამას გარდა, რადგან ბუკოლიკური ლექსები დაქტილური ჰეგზამეტრით არის გამართული, მათი თარგმნისას სირთულეს ქმნის აგრეთვე ქართულში დაქტილური ჰეგზამეტრის შესატყვისი სალექსო საზომის არარსებობა. ხელოვნური საზომები ძირითადად ვერ ამართლებს, „თოთხმეტმარცვლოვანი ბესიკური“ კი, რომელიც თარგმანში ყველაზე ხშირად გამოიყენება, ამ შემთხვევაში ინტონაციურად შეუსაბამოა, სულ სხვა ჟანრული ინერცია ახლავს.

საკვანძო სიტყვები: პოეტური თარგმანი, ანტიკური პოეზია, ბეძნული და რომაული ლიტერატურის თარგმანი, ვერგილიუსის ბუკოლიკური პოეზიის თარგმნის თავისებურებები

Abstract: Good translation requires care, creativity, and perseverance. A translator not only must transfer meaning across time, place, and language, but must also capture intonation, mood, and innuendo, all while making the text sound natural. While this will be true for any poetry translations, for the poetry of the dead languages of ancient Greek and Classical Latin, these challenges compound and multiply many times.

We also need to keep in mind that antique poetry does not rely on cadence. Rhythm in the poetry of these languages is created by regular sequence of long and short syllables - their length, or quantity (quantitative meter), gives their prosody this quantitative metric. Considering this, translation of Greco-Roman meters into Georgian language is dubious from the beginning since Georgian prosody is qualitative, meaning rhythm is established by a fixed number of syllables in each line (syllabic prosody) or regular sequence of accented and non-accented syllables (accentual-syllabic prosody). Both cases are fundamentally different from the prosody of Greco-Roman, making their transfer into Georgian a matter of relatively arbitrary choice by the translator

The translation of Roman classical poets' texts differ from one other in their difficulty: authors translated by us – poetry of Ovid, Horace, Propertius, Tibullus, Catullus, and Vergil are each accompanied by their own set of challenges. However, in the scope of this paper we are going to only focus on peculiarities of Vergil's Bucolic poetry.

Publius Vergilius Maro, or Virgil, was one of the most prominent poets of his day. The Bucolics, also known as the Eclogues, are some of Virgil's earliest works, and tell

of the troubles and joys of being close to nature, singing competitions among shepherds, and stories of a shepherd's unrequited love.

For Virgil, the sound of his poetry is paramount, transcending even the close attention he pays to village life, labor, and rural diversions. In Virgil's Latin, these aesthetics are so closely tied to sound and meter that the full strength and beauty of his work remain forever enshrined in their original language. The external brilliance of his poetry is found in every line, which is filled with great energy and movement.

For Virgil the linkages between words, their natural attractions or repulsions is of critical importance, while the message contained is secondary. This feature makes the translator's task doubly difficult. By contrast, other poets may focus their talents on the ferocity of sentiments, hidden irony, or semitones. Catullus for example uses his poetry to defy modesty and delight in candor. While each poet comes with its own unique set of social and linguistic obstacles, still, the transfer of these from one language into another is possible in principle. This is not the case with the brilliance of a line of Virgil.

Furthermore, Vergil's Bucolics can be classified as lyrical only arbitrary. This is not the lyricism familiar to modern reader. This peculiarity of Vergil's poetry should undoubtedly be taken into consideration by the translator, as excessive lyricism will move the translated text further away from the original, which would be a 'betrayal' of the Roman poet.

Moreover, since bucolic poetry is written in dactylic hexameter additional difficulty is created by non-existence of an equivalent meter to this hexameter in Georgian language. Artificially created meters rarely work well and usage of 'Besikuri' fourteen-syllable meter, which is the most often used meter for translational texts, is unsuitable due to its intonation.

Keywords: poetic translation, ancient poetry, translation of Greek and Roman literature, particularities of the bucolic poetry of Virgil

Marine GIORGADZE, Professeur, Université d'État Chota Roustavéli de Batoumi, Géorgie

„პოეტური ფორმულების“ თარგმნის საკითხისათვის "ილიადის" ქართული თარგმანების მიხედვით

თეზისები: „პოეტური ფორმულების“ (პოეტური ფორმულა: გამოთქმა, რომელიც რეგულარულად ერთსა და იმავე მეტრიკულ პოზიციაში გვხვდება და მნიშვნელოვან აზრს გადმოგვცემს) შესწავლის საკითხი მეცნიერებაში ე.წ. „ზეპირი პოეზიის“ (oral poetry, - მ. პერი, ა. ლორდი) თეორიის კონტექსტში გახდა აქტუალური და ეპოსის შექმნის ფოლკლორულ მექანიზმებსა და შესრულების ტექნიკას უკავშირდება. ზეპირსიტყვიერებას, ფოლკლორულ ეპოსს თავისი კანონები აქვს და პოეტური ფორმულების ფართო გამოყენებას ეყრდნობა, მთქმელს შეუძლია დაიმახსოვროს ასეულობით სტრიქონი და ზეპირად შესრულებისას, იმპროვიზაციის პროცესში მუდმივად აახლებს

ტექსტს, რასაც ახერხებს სწორედ იმ ტრადიციული პოეტური ფორმულების დიდი მარაგის გამოყენებით, რომელიც დაცულია მის მეხსიერებაში.

მ. პერი და ა. ლორდმა, ასევე მათმა მიმდევრებმა ზეპირი პოეზიის თეორია იმის დასამტკიცებლად გამოიყენეს, რომ „ილიადასა“ და „ოდისეაში“ პოეტური ფორმულების უხვი გამოყენება პოემების ზეპირსიტყვიერ ხასიათზე მიუთითებს და არ გულისხმობს წერილობითი ტექსტის არსებობას, რაც საკამათოა.

ჰომეროსის პოემებში - „ილიადა“, „ოდისეა“ - პოეტურ ფორმულებს მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს როგორც შინაარსის, ასევე კომპოზიციის თვალსაზრისით. ფაქტია, რომ ჰომეროსის ეპოსი შეიქმნა არქაულ ეპოქაში, როცა ფოლკლორული ტრადიცია ჯერ კიდევ ძალიან ძლიერია და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აედებისა და რაფსოდების შემოქმედებაზე. შედეგად, პოეტური ფორმულების, პოეტური კლიშეების, ხშირად განმეორებადი სტრიქონების ხვედრითი წილი ჰომეროსის პოემებში მართლაც თვალშისაცემია.

საინტერესო საკითხია, თუ როგორ გადმოსცეს ქართველმა მთარგმნელებმა თავის თარგმანებში ტრადიციული ფორმულების ენა, რამდენად ითვალისწინებს მათი თარგმანები ფონურ ცოდნას აღნიშნული მეცნიერული თეორიების კონტექსტში. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით ჰომეროსის „ილიადის“ ქართული თარგმანების (პოეტური, პროზაული) განხილვა, კიდევ ერთი დამატებითი ინსტრუმენტია თარგმანის ხარისხისა და მთარგმნელის კვალიფიციურობის დასადასტურებლად.

საკვანძო სიტყვები: პოეტური ფორმულები, ზეპირი პოეზიის თეორია, ეპიკური სტილი, ფორმულების ენა, ფონური ცოდნა, თარგმანის ხარისხი, მთარგმნელის კვალიფიკაცია

Abstract: Poetic formulas (Poetic formula is defined as an expression, which stands in the same metric position on a regular basis and transfers a meaningful idea) became relevant for the scholarly studies in the context of the so-called “oral poetry” (M. Perry, A Lord) theory.

It is related to the folklore mechanisms of the epic poems and technique of their composition.

The folklore epos relies on its own poetic formulas, governed by its own genre laws. A speaker can remember hundreds of stanzas and re-create some of them during the oral performance, improvising the text. S/he can improvise using resources, the poetic formulae accumulated in her/his memory.

M. Perry, and A. Lord, as well as their followers, base their arguments on the theory of oral poetry to prove that Iliad and Odyssey emerged as oral poems, rather than written texts. However, this hypothesis is still debatable.

Iliad and Odyssey by Homer are embedded with poetic formulas; their functionality is palpable in the composition and narration of the poems. Home created his poems in

the archaic era when the folklore retained a strong influence on the Aedes and Rhapsodes. As a result, the number of established poetic formulas, poetic clichés, and repeatedly used stanzas is quite high in Homer's poems.

We presume interesting to explore the language of the traditional formulas transferred by the Georgian translators and examine whether their translations apply background knowledge in the context of the proper scholarly theories.

In this regard, we studied Georgian translations of Homer (both poetic and prose). Translation analysis, as focused on the poetic formulas, seems to be applicable as an extra instrument to check the quality of translation and efficiency of a translator.

Keywords: Poetic formula, theory of "oral poetry", epic style, language of the traditional formulas, background knowledge, quality of translation, efficiency of a translator

Helen GIUNASHVILI, Researcher, G. Tsereteli Institute of Oriental Studies/Ilia State University, Tbilisi, Georgia

*The Poem "Knight in the Panther's Skin" in Iran
(Studies and Translations)*

Abstract: Georgian-Persian cultural contacts have the most ancient tradition. The beginning of Georgian-Persian literary relations is usually traced back to the 11th-12th centuries, when Georgian secular literature first developed and flourished.

The familiarity of Georgian authors with the Persian classics played a significant role in the development of the Georgian poetic thought. Such works as the epic romance *Amirandarejaniani* ascribed to Mose Khoneli (12th century), *Tamariani* by Grigol Chakhrukhadze (12th century), *Abdulmesiani* by Iovane Shavteli and, finally, the masterpiece of Georgian poetry *Vepkhistqaosani* by Shota Rustaveli, came into being due to this cultural synthesis.

In his famous poem's prologue Shota Rustaveli notes:

"I have found this Persian tale, and I have set in Georgian verse

Until now like a peerless pearl it was rolled on the palm of the hand...."

However, already the first investigator and editor of the poem the King Vakhtang VI (reign - 1716-1724) the most learned monarchs of the time, has pointed out that Rustaveli "created this narrative by himself".

Rustaveli's masterpiece has become an object of intensive studies in Iran from the 30th of XX century. Many outstanding poetic and prose translations of *Vepkhistqaosani* were also realized.

These scientific-literary activities are related to the names of Iuri Marr, Said Naficy, Hamze Sardadvar, Vladimir Puturidze and some others.

The paper presents a survey of *Vepkhistqaosani*'s academic studies and literary translations in Iran.

Keywords: Rustaveli, Iranian-Georgian Cultural-Literary Relations

Bela GLONTI, Doctorante, Université d'État Ilia, Tbilissi, Géorgie

Traduction comme dialogue interculturel (sur l'exemple de la traduction de proverbes)

Résumé : Dans les théories traductologiques, la traduction est considérée comme la transition, le passage d'une langue-culture étrangère dans une autre langue-culture. Ce qui amène les traductologues ou les théoriciens de la traduction à considérer la traduction comme une médiation dans sa fonction interculturelle. Comme l'affirme Cordonnier, « la traduction est dans la culture, elle est culture ».

Lorsque les traductologues parlent des problèmes devant lesquels se retrouvent les traducteurs, ils soulignent plus particulièrement la difficulté de la traduction des phénomènes culturels ce qui s'explique par le fait que différents systèmes linguistiques découpent différemment le réel et le recomposent différemment dans le discours.

Dans la présente communication, nous considérons le proverbe, à la suite d'Anscombe, comme une énonciation auto-suffisante, un discours autonome, à travers lequel s'expriment la sagesse du peuple, sa culture et qui reflète les particularités socioculturelles de sa perception, de sa vision de l'univers et de sa façon d'exprimer le monde. Il est donc présent dans toutes les langues et exprime la vérité générale répandue dans la société.

La traduction des proverbes, comme une activité de la pensée humaine, assure une certaine liaison entre différents modes de communication, une espèce de lien dialogique entre des langues, des moyens d'expressions, des imaginaires, voire des cultures, souvent dissemblables. À cet égard, les approches de traduction des proverbes liées à l'interculturalité ont pris une importance de plus en plus grande dans les domaines de la recherche s'intéressant aux phénomènes de contact, de comparaison de cultures et de compréhension des langues dites étrangères.

Partageant l'idée que traduire d'une culture à une autre, c'est opérer une médiation interculturelle, notre objectif est de montrer que la traduction des proverbes représente une activité interculturelle, servant à l'établissement de dialogue interculturel.

Mots-clés : proverbe, culture, traduction, médiation interculturelle, dialogue interculturel

Kossivi Apéléti GNINEVI, Doctorant, Université Laval, Québec, Canada

Traduire Tail of the Blue Bird en français : Quelle marge de manœuvre pour le traducteur ?

Résumé: La littérature postcoloniale ouest-africaine est, dans son ensemble, caractérisée par une hybridité linguistique et culturelle. Pour écrire son texte, l'écrivain postcolonial ouest-africain se livre à une véritable appropriation des langues occidentales en y insérant des éléments de sa culture et des emprunts aux langues locales. Dans un contexte d'internationalisation croissante des échanges dans tous les domaines, la traduction demeure le meilleur moyen pour surmonter les obstacles linguistiques et culturels entre les peuples. Cependant, les difficultés soulevées par la traduction de textes postcoloniaux de l'Afrique de l'Ouest sont encore plus importantes, si l'on prend en compte leur particularité linguistique et culturelle. À partir du roman *Tails of the Blue Bird* (2009) du ghanéen Nii Ayikwei Parkers et de sa traduction française *Notre quelque part* (2014), notre présentation analysera, d'une part, les difficultés liées à la traduction de ce texte et, d'autre part, les stratégies de traduction utilisées par le traducteur pour rendre en français les références culturelles et des spécificités de l'anglais ouest-africain.

Mots-clés : Afrique de l'Ouest, littérature, postcoloniale, hybridité, traduction, difficulté

Abstract: West African postcolonial literature is generally characterized by linguistic and cultural hybridity. To write his text, the West African postcolonial writer appropriates Western languages by inserting elements of his culture and borrowings from local languages. In a context of increasing internationalization of exchanges, translation remains the most important means of overcoming linguistic and cultural barriers among peoples. However, the difficulties raised by the translation of postcolonial texts from West Africa are even more significant if we take into account their linguistic and cultural characteristics. Based on the novel *Tails of the Blue Bird* (2009) by the Ghanaian Nii Ayikwei Parkers and its French translation *Notre quelque part* (2014), my presentation analyses the difficulties involved in translating this text and the strategies used by the translator to render into French cultural references and the particularities of West African English.

Keywords: West Africa, literature, postcolonial, hybridity, translation, difficulty

Tamar GOGOLADZE, Professeur, Université d'État de Gori, **Nino MINDIASHVILI**, Professeur, Université internationale du Caucase, Tbilissi, Géorgie

ანტონ ჩეხოვის ბოლო პიესის ქართული თარგმანები

თეზისები: XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული ინტელექტუალური საზოგადოება ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, სულ უფრო აქტიურად განიხილებოდა საკითხი, მშობლიურ ენაზე ეხილათ რაც შეიძლება ბევრი უცხოური ნაწარმოები, ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ რაიმე მთარგმნელობითი პრინციპების გათვალისწინება აზრს კარგავდა, თუმცა აღსანიშნავია ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ სწორედ ამავე პერიოდიდან ქართულ სამეცნიერო დისკურსში აქტიურად განიხილება მთარგმნელობითი

პრინციპების დადგენის აუცილებლობა. უკვე 1900-იანი წლებიდან ქართული თეატრის მესვეურების წინაშე დგება გადმოკეთების უარყოფისა და ხარისხიანი თარგმანის საკითხი, მეტიც, მწიფდება აზრი, ყურადღება გამახვილდეს კარგ თარგმანზე, ამიტომაც თბილისის დრამატული საზოგადოება აწესებს ფულად ჯილდოს საუკეთესო თარგმანებისთვის.

ამ ეტაპზე ჩვენი ინტერესის საგანია ანტონ ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ ქართული თარგმანები და მათი გავლენა ქართულ მთარგმნელობით და თეატრალურ სივრცეზე. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პიესის შექმნას მყისიერად მოყვა პირველი ქართული თარგმანი, რომელიც ეკუთვნის სოფიო ციციშვილს (1905), ხოლო 1909 წელს ივანე ბარველმა გადმოაკეთა რუსულიდან და უწოდა „სალხინო“. რაც შეეხება პროზაიკოსის, დრამატურგისა და რეჟისორის შალვა დადიანისეულ თარგმანს, ის 1954 წელს „ხელოვნებამ“ გამოსცა. ხოლო 1962 წელს გამოვიდა ანტონ ჩეხოვის თხზულებათა მესამე ტომი, რომელშიც შესულია „ალუბლის ბაღის“ დადიანისეული თარგმანი, თუმცა მასალის შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ დადიანს არ გაუთვალისწინებია სოფიო ციციშვილის თარგმანი. 1982 წელს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ იბეჭდება „ალუბლის ბაღის“ კიდევ ერთი თარგმანი, რომელიც ეკუთვნის მიხეილ ქვლივიძეს, სწორედ ეს თარგმანი შედის „ქართველ თეატრალურ მოღვაწეთა გაერთიანების“ ეგიდით გამოცემულ ანტონ ჩეხოვის პიესების კრებულში (1990). ვვარაუდობთ, რომ მიხეილ ქვლივიძემ ისარგებლა იმავე ტექსტით (ოცტომეული 1944-1951), რომლითაც შალვა დადიანმა. რაც შეეხება მანანა ანთაძის თარგმანს, იგი საგანგებოდ შესრულდა კინომსახიობთა თეატრის დადგმისთვის 2004 წელს, ხოლო 2014 წელს გამოიცა გამომცემლობა „კენტავრის“ მიერ.

კვლევამ ცხადყო, რომ ოთხივე თარგმანი მეტად სპეციფიკურია, აღსანიშნავია, რომ ყველა ტექსტი სცენისთვისაა განკუთვნილი, თემის აქტუალურობას განაპირობებს ის გარემოება, რომ მათ ღირსება-ნაკლოვენებებზე სამეცნიერო დისკურსში მსჯელობა თითქმის არ ყოფილა. თუმცა ცალსახაა, რომ ანტონ ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“ იმ პოპულარულ ქმნილებთა შორისაა, რომლებმაც განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრეს ქართულ მთარგმნელობითსა და თეატრალურ სივრცეში.

საკვანძო სიტყვები: ჩეხოვი, პიესა, თარგმანი, ქართული

Abstract: Starting from the second half of the 19th century Georgian intellectual society faced new challenges; more and more increasingly was being discussed the possibility to see as many foreign literary works in Georgian language, as possible; the interest was so high that definition of any translation principles was senseless, however, the important circumstance must be emphasized that the necessity for defining translation principles started being discussed actively in the Georgian scientific discourse right from that period. From 1900s, Georgian theatre practitioners faced the necessity for denying remaking and having quality translations;

furthermore, attention started being paid to good translations and for the cause the Tbilisi Drama Society even introduced a financial prize for best translations.

At the moment, our matter of interest are Georgian translations of Anton Chekhov's *Cherry Orchard* and their impact at Georgian translation and theatrical societies. It is noteworthy that first Georgian translation followed immediately after the play was created; author was Sopio Tsitsishvili (1905); in 1909, Ivane Barveli made the remake from Russian and titled it *Salkhino (The Feast)*. As for the translation by the prose writer, playwright and theatre director Shalva Dadiani, it was published in 1954 by the Publishing House Khelovneba (Art). In 1962 came out the third volume of Anton Chekhov's literary works, which includes Dadiani's translation of the *Cherry Orchard*, although, study of the material makes us believe that Dadiani did not consider Sopio Tsitsishvili's translation. In 1982, Soviet Art Magazine published another translation of *Cherry Orchard* by Mikheil Kvividze; this was the translation included in the almanac of Anton Chekhov's plays published by the Union of Georgian Theatrical Workers (1990). We assume that Mikheil Kvividze used the same text (20-volume publication - 1944-1951), which was used by Shalva Dadiani. As for Manana Antadze's translation, it was specially done for the 2004 theatrical performance by the Theatre of Cinema Actors; it was later published by the Publishing House Centaur in 2014.

The study concludes that all four translations are highly specific; it is noteworthy that all the texts are intended for the theatrical stage; the topicality of the issue is reasoned by the circumstance that there has been no discussion in scientific discourse of the pluses and minuses of those translations. However, it is clear that Anton Chekhov's *Cherry Orchard* is among those popular literary creations, which have established special place in Georgian translation and theatrical spaces.

Keywords: Chekhov, play, translation, Georgian

Angela GRADINARU, Professeur, Université d'État de Moldova, République de Moldova

Les moyens d'équivalence des unités phraséologiques dans les comédies françaises sous-titrées en roumain

Résumé: Cet article se focalise sur l'étude des unités phraséologiques dans la traduction audiovisuelle. Les unités phraséologiques assument un rôle très important dans le processus communicatif des personnages d'une comédie. Le problème de la traduction phraséologique réside dans le fait de pouvoir les comprendre dans leur ensemble et de réussir à trouver leur équivalence dans une autre langue. Même si le français et le roumain présentent des caractéristiques connexes qui manifestent une dimension universelle (définis par les linguistes comme des unités phraséologiques universelles), la traduction de la phraséologie reste un problème complexe. Les difficultés imposées par les groupements fixes de mots visent le transfert de sens et de valences expressives. Le sous-titre vise à aider le spectateur à surmonter les

barrières linguistiques et culturelles. Par conséquent, la difficulté la plus grande n'est pas représentée par les mots, les unités de mots, pour lesquels on ne trouve pas un équivalent approprié, mais les réalités auxquelles ils se réfèrent. Le but de la traduction audiovisuelle est d'établir une équivalence entre le texte de la langue source et celui de la langue cible (tous les deux doivent signifier la même chose), en tenant compte d'un certain nombre de contraintes. Le processus est complet si la finalité du texte cible coïncide avec celle du texte source, autrement dit si le premier a la même fonction communicative dans un contexte culturel équivalent. Par conséquent, cette étude va montrer la voie traductologique valable pour trouver des équivalents phraséologiques. Elle consiste à appliquer différentes techniques de traduction en prenant en considération les particularités formelles, sémantiques, stylistiques, culturelles et fonctionnelles de l'univers phraséologique. L'étude est illustrée par de nombreux exemples issus de diverses comédies françaises sous-titrées en roumain.

Mots-clés: comédie, équivalence, sous-titre, traduction audiovisuelle, traducteur, technique de traduction, texte source, texte cible, unité phraséologique

Abstract: The present article focuses on the study of phraseological units in audiovisual translation. The phraseological units carry an important role in the process of communication between comedy characters. The problem of translation of phraseological units resides in the ability to understand them as a whole and to manage to find their equivalents in another language. Even if French and Romanian share cognate characteristics that demonstrate a universal dimension (defined by linguists as phraseological universals) translation of phraseology is a complex problem. The difficulties imposed by fixed word-groups reside in transferring their meaning and expressive force. Therefore, the subtitler aims at aiding the viewer to overcome the linguistic and cultural barriers. The hardest difficulty is not posed by the words and the word-groups for which we cannot find appropriate equivalents, but by the realities they refer to. The goal of audiovisual translation is to determine an equivalence between the source-language text and the target-language text (both should have the same meaning), keeping in mind that there is a certain number of constraints. The process is complete if the product of translation coincides with the source-text, in other words, if the first has the same communicative function in an equivalent cultural context. Consequently, the present study shall describe the available traductological approach to find phraseological equivalents by means of applying different translation techniques taking into account the structural, semantic, stylistic, cultural and functional peculiarities of the phraseological universe. The study is illustrated by a number of examples excerpted from different French comedies subtitled in Romanian.

Key-words: comedy, equivalence, subtitler, audiovisual translation, translator, translation technique, source-text, target-text, phraseological unit

Karine GRIGORYAN, Professeur, Université d'État Brusov, Erevan, Arménie

Les emprunts lexicaux au français dans les traductions médiévales arméniennes

Résumé : La disposition géographique et la situation sociopolitique du Royaume Arménien de Cilicie ont contribué à la pénétration des mots français : certains réalia de l'époque féodale de l'Europe Occidentale s'absentaient en arménien à force des circonstances historiques et politiques. Le nombre considérable d'emprunts a pénétré en moyen arménien pendant les 12^e-13^e siècles. La source des ces mots est l'ancien français: on ne trouve que quelques-uns empruntés au moyen français. Notre analyse des textes traduits du français médiéval a démontré que les substantifs empruntés sont au nombre de 118, les 8 sont des verbes et les 6 sont des adjectifs. Ces mots concernant la gestion, le droit, la littérature, la religion ont pénétré non seulement en arménien, mais aussi en un nombre de langues européennes à la même époque.

Il est notable que l'influence du français sur l'arménien, dans un contact prolongé entre deux peuples de culture assez différente, n'a affecté que le lexique et a laissé intacte sa morphologie et sa syntaxe.

Mots-clés: arménien moyen, contact linguistique, contact culturel, emprunt lexical, études médiévales, français moyen

Abstract: The geographic layout and the socio-political situation of the Armenian Kingdom of Cilicia contributed to the penetration of French words: certain realia from the feudal era of Western Europe were absent in Armenian language due to historical and political circumstances. Considerable number of borrowings penetrated into the Armenian language dates back the 12th-13th centuries. The source of these words is the medieval French. Only a few of them were borrowed from old French. Our analysis of the texts translated from French language has shown that the number of borrowed nouns is 118, 8 are verbs and 6 are adjectives. These words concerning management, law and religion penetrated not only into Armenian language, but also into several European languages in the same period.

It is notable that the influence of French language on the Armenian, in prolonged contact with two peoples of quite different cultures, only affected the vocabulary and left its morphology and syntax intact.

Keywords: linguistic contact, cultural contact, lexical borrowing, medieval Armenian, medieval French, medieval studies

Lali GULEDANI, Professeur, Université d'État Ilia, Tbilissi, Géorgie

გრ. რობაქიძის „ლამარას“ ებრაულად თარგმნის გარემოებანი

თეზისები: გრ. რობაქიძემ 1954წ. თავის პუბლიცისტურ წერილში „მოკლე ბიოგრაფია – ლამარა“ აღწერა „ლამარას“ შექმნისა და სცენაზე დადგმის გარემოებანი და აღნიშნა, რომ ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელი“ სასცენო ხორცშესხმის მისეული იდეის განხორციელება კ. მარჯანიშვილმა თავად მასვე მიანდო. იქვე ის ამახვილებს ყურადღებას „ლამარას“ დაწერის მიზეზებზე და აღნიშნავს, რომ ამ ნაწარმოების დასაწერად სამმა გარემოებამ მისცა სტიმული: ვაჟა-ფშაველას მისტიურმა „გველისმჭამელმა“, კოტე მარჯანიშვილის უჩვეულო პიროვნებამ და 1924 წლის აჯანყების მარცხმა... 1926 წელს 29 იანვარს დაიდგა „ლამარა“. ამავე წერილის ბოლოს არის შენიშვნა, რომლისთვისაც დღემდე არცერთ მკვლევარს ყურადღება არ მიუქცევია: „გაიმარჯვა თეატრმა... ლამარათი მან შექმნა სრულიად ახალი სტილი, წმინდა ქართული. თუ რა მინდა ამით ვთქვა, გაიგებს ყოველი მცოდნე თეატრისა თუ მას უნახავს ებრაელთა თეატრი „გაბიმა“... ეს რეპლიკა წერილის ბოლოს ფიქსირდება მხოლოდ ერთ კრებულში, დანარჩენებში იგი გამქრალია. სხვა ნაწარმოებებისგან განსხვავებით, „ლამარას“ დაწერას წინ უძღოდა ემოციური ბიძგი, რომელმაც უცებ ამოაფრქვევინა მას იგი. ასეთ ბიძგს კი, ვფიქრობ, ძლიერი ფონი და განწყობა „დიბუკის“ ნახვამ შეუქმნა. „დიბუკის“ ნახვიდან ორი წლის შემდეგ ამ რეპლიკით გრ. რობაქიძე იმას გვეუბნება, რომ „წმინდა ებრაული“ წარმოდგენით მიღებული შთაბეჭდილება იმდენად ძლიერია, რომ იგი ჯერ კიდევ არ განელეზულა.

ცნობილი რუსი ებრაელი დრამატურგისა და მწერლის ან-სკის (სიმონ რაპოპორტი) „დიბუკი“ („ანუ ორ სამყაროს შორის“) მსოფლიოში აღიარებული, კინოში, დრამატულ და საოპერო თეატრებში წარმატებით განხორციელებული ოთხმოქმედებიანი პიესაა, რომელიც მრავალ ენაზე ითარგმნა. იგი იდიშიდან ებრაულად თარგმნა დიდმა ებრაელმა მწერალმა ხაიმ ნახმან ბიალიკმა, ხოლო ებრაულიდან ქართულად მარჯანიშვილის თხოვნითვე განახორციელა მოშე დანიელმა. საინტერესოა ისიც, რომ გრ. რობაქიძის „ლამარა“ ქართულიდან ებრაულად ისევ მოშე დანიელს უთარგმნია.

ამრიგად, გრ. რობაქიძის საყვარელი ფრაზით რომ დავასრულოთ აზრი, „რკალი შეიკრა“, ანუ კ. მარჯანიშვილის წინადადებით გრ. რობაქიძემ დაწერა „ლამარა“, რომელიც მოშე დანიელმა თარგმნა ებრაულად. კ. მარჯანიშვილისავე ჩარევით ითარგმნა ებრაულიდან ქართულად „დიბუკი“, რომელმაც აღაფრთოვანა გრ. რობაქიძე.

მოხსენებაში უფრო დაწვრილებით იქნება განხილული „ლამარას“ დაწერისა და ებრაულად თარგმნის გარემოებანი.

საკვანძო სიტყვები: „ლამარა“, „გველისმჭამელი“, „დიბუკი“, ებრაული თარგმანი, მოშე დანიელი

Abstract: G. Robakidze in 1954 in his publicist letter “Short Biography - Lamara”, described the circumstances of creation of “Lamara”, representation of the play and noted that K. Marjanishvili entrusted to him realization on the scene of his idea of the

Vazha-Pshavela's "Gvelis Mchameli" (eater of snake). He points out that three circumstances prompted him to write this work: Vazha-Pshavela's mystical "snake-eater", Kote Marjanishvili's special personality and the failure of the 1924 uprising. At the end of this same letter is a note, no of researchers have paid attention till today. On 1926 "Lamara" was performed and G. Robakidze writes: "The theatre won ...By "Lamara" he created a completely new style," pure Georgian". What I want to say, every theatre connoisseur will understand, if he had seen the Hebrew theatre "Gabima" . This replica is given in the end of the letter only in one collection of works, in the others it's disappeared. Unlike writing of other compositions, writing of "Lamara" was preceded not by long creative process, but a great emotional impact, which made him erupt it at once. In my opinion, the strong background and mood for such an impact was created by seeing "Dybbuk". Already 2 years have passed after seeing of "Dybbuk", and it seems that G. Robakidze with this replica is telling us that the impression, received by the "pure Hebrew" performance is still so strong, that it's not diminished yet.

"Dybbuk" (or "Between two Worlds") of An-sky (Simon Rapoport), the famous Russian Hebrew playwright and writer, is the world famous, successfully realized in the cinema, drama and opera theatres four-act play, translated into many languages. This piece of literature was translated from Yiddish into Hebrew by an outstanding Hebrew author Hayim Nahman Bialik, but the translation from Hebrew into Georgian at the request of Marjanishvili was done by Moshe Daniel. It's interesting that from Georgian G. Robakidze's "Lamara" is translated again by Moshe Daniel.

So, to complete the idea with G. Robakidze's favorite phrase, "Circle has been closed", - at K. Marjanishvili's suggestion G. Robakidze wrote "Lamara" and Moshe Daniel translated it into Hebrew. By the interference of the same K. Marjanishvili from Hebrew into Georgian was translated "Dybbuk", which excited G. Robakidze.

The report will discuss in more detail the circumstances of writing Lamara and its translation into Hebrew.

Keywords: "Lamara", "snake-eater", "Dybbuk", Hebrew Translation, Moshe Daniel

Gvantsa GVANTSELADZE / Tea BURCHULADZE, Professeurs, Université d'État Iv. Javakhishvili de Tbilissi, Institut Arnold Chikobava de linguistique, Tbilissi, Géorgie

ზოგი სახის სტილური შეუსაბამობა ნათარგმნ ტექსტებში

თეზისები: თარგმანისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სტილური პრობლემებია. სტილისტიკა ენობრივ შემოქმედებასთან დაკავშირებულ პრობლემათა ფართო სპექტრს მოიცავს – სიტყვათა თანამიმდევრობით დაწყებული სპეციალური გამომსახველობითი საშუალებებით დამთავრებული. ტექსტის სრულქმნისა და დახვეწის საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული ენისათვის ბუნებრივ სიტყვათმეხამებასა თუ სტილისტიკურად და აზრობრივად სწორად შერჩეულ ფორმებს. ამასთანავე, თარგმანი ემყარება ენის შემოქმედებით ბუნებას, გასათვალისწინებელია

ენობრივი კულტურა, მშობლიური სიტყვათმეხამებანი, მათი მართებულად გამოყენება, მყარი გამოთქმების სპეციფიკა და განსხვავებულ ენობრივ კულტურაში მათი გააზრების საკითხი.

სიტყვას სალიტერატურო ენაში ამ ენის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე სრულიად გარკვეული მნიშვნელობა აქვს. არ შეიძლება, რომელიმე სიტყვა ნებისმიერ სხვა სიტყვას დაუკავშიროთ. ყოველ სიტყვას ამავე დროს აქვს თავისი მყარი ადგილი ტრადიციულ სიტყვათმეხამებაში. ამიტომაც მნიშვნელოვანია ისინი ენისათვის ბუნებრივი ფორმებით იყოს შემუშავებული. ყურადღებას გავამახვილებთ ნათარგმნ ნაწარმოებებში ზოგი სახის სტილურ შეუსაბამობაზე. მაგალითად, „**ყინულივით ცივად მიუგო ჟანომ**“. ქართულისათვის ბუნებრივია გამოთქმა **ყინულივით ცივი ხმით უთხრა**, ან **ცივად მიუგო**. ენისათვის ხელოვნური და უმართებულია **ყინულივით ცივად უთხრა**. ან კიდევ: „ამას თავს ვერ დავაღწევ, **ბუნების ირონიაა**.“ ქართულისათვის ბუნებრივი სიტყვათმეხამებაა **ბედის ირონია** და არა ბუნების ირონია. „ეს უფრო **მაღალი დონის განსაცდელისაგან** დამიცავს“ – ზედსართავი სახელი **მაღალი** გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობითაც – ისეთი განყენებული სახელების მსაზღვრელად, როგორებიცაა შეგნება, იდეალი, დონე, ხარისხი (რომელთა აწევა, მომატება, ამაღლება შესაძლებელია), მაგრამ ამავდროულად უმართებულოდ ჩნდება ისეთ შემთხვევებშიც, როცა მოჭარბებული ექსპრესიისათვის, სახელის მეტისმეტი სიდიდის, სიუხვის საჩვენებლად იყენებენ, რაც არაბურებრივია ქართულისათვის. სწორედ ასე ჩანს მიღებული არასწორი შესიტყვება **მაღალი დონის განსაცდელი** (მართებულია – დიდი განსაცდელისაგან). „ეს ყველაფერი უკეთ ხერხდება სრულიად უაზრო **კითხვის მიცემით**, თორემ ერთი საათი კიდევ ილაქლაქებდით“ – სიტყვათმეხამებაა **კითხვის დასმა** და არა კითხვის მიცემა... ცხადია, თარგმანისას ამგვარი სტილური შეუსაბამობანი ენას გამომსახველობით ბუნებრიობას უკარგავს.

საკვანძო სიტყვები: თარგმანი, სტილური პრობლემები, ენის შემოქმედებითი ბუნება, ტრადიციული სიტყვათმეხამებანი

Abstract: Stylistic problems are very important in translation. Stylistics encompasses a wide range of issues related to linguistics creativity – the word order, specific stylistic devices, etc. Phrases that are natural for the Georgian language or forms that are stylistically and contextually appropriate are very important parts in refining texts. In addition, translation is based on the creative nature of a language considering linguistic culture, native phrases and using them properly, specificity of fixed expressions and understanding them in different linguistic cultures.

In the literary language a word has a certain meaning at a certain stage of the development of a language. You cannot link any word to any other word. Each word has its place in a traditional syntagm. That is why it is important to present them in a natural way in translation.

We focus on some stylistic irrelevances in translated works. For example, “*ყინულივით ცივად მიუგო ჟანომ*”. The expression *ყინულივით ცივი ხმით უთხრა* or *ცივად მიუგო* are natural for the Georgian language while *ყინულივით ცივად უთხრა* is inappropriate and artificial. “*ამას თავს ვერ დავაღწევ, ბუნების ირონიას*” – in Georgian the syntagm *ბედის ირონია* is natural. “*ეს უფრო მაღალი დონის განსაცდელისაგან დამიცავს*” – the adjective *მაღალი* “tall/high” is also used in a figurative sense where it modifies abstract nouns such as *შეგნება* “consciousness”, *იდეალი* “ideal”, *დონე* “level”, *ხარისხი* “quality” (that can be increased) but it appears inappropriate in the cases where it is used to express excessive bulkiness, fullness that is unnatural for Georgian. The reason of coining the incorrect syntagm *მაღალი დონის განსაცდელი* seems to be the same (the correct form - *დიდი განსაცდელისაგან*). “*ეს ყველაფერი უკეთ ხერხდება სრულიად უაზრო კითხვის მიცემით, თორემ ერთი საათი კიდევ ილაქლაქებდით*” – the correct form is *კითხვის დასმა* and not *კითხვის მიცემა*. Obviously, such stylistic irrelevances in translation make the language lose its expressive nature.

Keywords: Translation, stylistic problems, creative nature of language, traditional word combinations

Teimuraz GVANTSELADZE, Professeur, Université d’État de Sokhoumi, **Gvantsa GVANTSELADZE**, Professeur, Université d’État Iv. Javakhishvili de Tbilissi, Institut Arnold Chikobava de linguistique

ავხაზეთში რეალურად მომხდარი ფაქტი მისი მონაწილის, მწერლის, იდეოლოგიზებული ისტორიკოსისა და მთარგმნელის აღწერით (ლეო ქიაჩელის მცირე რომანის „ჰაკი აძბას“ მიხედვით)

თეზისები: 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში ბოლშევიკური რეჟიმი დამყარდა და დაიწყო სამოქალაქო ომი. საქართველო ამ დროს აღარ შედიოდა რუსეთის შემადგენლობაში, მაგრამ რუსები მას მაინც რუსეთის კუთვნილებად მიიჩნევდნენ. 1918 წლის 16 თებერვალს რუსი კომუნისტების სამხედრო გემი „დაკია“, რომლის ეკიპაჟმა გაძარცვა თურქეთის ქალაქი ტრაპიზონი, შემოვიდა სოხუმის ნავსადგურში (საქართველო) ნაძარცვის გასასაღებლად. რუსმა მეზღვაურებმა ქუჩაში გამვლელ ავხაზ თავადს, ოფიცერ **ნიკოლოზ ემხვარს**, როგორც იდეოლოგიურ მტერს, სამხრეების მოგლეჯა დაუპირეს, ემხვარმა კი რევოლუციით მოკლა ერთი მეზღვაური და თავის ძუძუმტესთან (გამზრდელის შვილთან) **სმელ ბადიასთან** ერთად დატოვა ქალაქი. ქალაქის რამდენიმე მცხოვრებმა სოხუმის დაბომბვის თავიდან ასაცილებლად მძევლად აიყვანა მეორე კომუნისტური გემის „**კარლ პირველის**“ რამდენიმე მეზღვაური. „დაკიას“ ეკიპაჟმა მაინც დაბომბა სოხუმი და ქალაქის ხელისუფლებას **ულტიმატუმი** წაუყენა, რაც გულისხმობდა მკვლელის დაპატიმრებას და მათთვის გადაცემას, მძევლების განთავისუფლებას, სოხუმში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებასა და კონტრიბუციის გადახდას. სოხუმელმა კომუნისტებმა ისარგებლეს მომენტით და გამოაცხადეს საბჭოთა

ხელისუფლება, ხოლო უკვე დაპატიმრებული ოფიცერი ემხვარი და მისი უდანაშაულო ძუძუმტე გადასცეს რუსებს, რომლებმაც ისინი გემის საორთქლე ქვაბში ჩააგდეს. ამ ამბების გამო აფხაზთა ეროვნული საბჭო დაუპირისპირდა ქალაქის ხელისუფლებას, პოლიტიკურ-იდეოლოგიური ნიშნით გაიყო სამხედრო ნაწილები, მოსახლეობა და ა.შ. საბოლოოდ აღდგა ქალაქის ხელისუფლება, ხოლო კომუნისტები **ე. ეშბა, ნ. სვანიძე, გ. ათარბეკიანი** და სხვები რუსების გემით გაიქცნენ აფხაზეთიდან.

ეს ამბავი დეტალურად აქვს აღწერილი მის უშუალო მონაწილეს, სოხუმის ქალაქისთავს **ბენიამინ ჩხიკვიშვილს** თავის ოფიციალურ ტექსტში.

ეს რეალური ფაქტი გამოიყენა ქართველმა მწერალმა **ლეო ქიაჩელმა (ლეონ შენგელაიამ)** და მის საფუძველზე 1934 წელს დაწერა მცირე რომანი „**ჰაკი ამბა**“, რომელშიც წამოჭრილია შემდეგი მთავარი საკითხები:

1. ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას მძიმე დანაშაულის ჩამდენი მოქალაქეც კი;

2. რუსი და აფხაზი ხალხების ეთნოფსიქოლოგია და ეროვნული ტრადიციები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

None of the works of the great American author Gertrude Stein have ever been translated into Georgian. The Georgian translation of Stein's main novel, "Three Lives", will be published soon. "Three Lives" is a complex novel, written in a special style, the most difficult novel in terms of language and content. It consists of three, stylistically radically different parts. The largest and most important middle part, "Melanctha", is written using the techniques of the Stream of consciousness. It was in Melancholy that Stein used the technique of writing that is now known as "Stein style", namely - the method of repetition, exaggeration, neglect of punctuation norms. The flow of consciousness used in "Melanchta" does not fit into the framework of the classical understanding of this term.

The aim of the article is to determine the nuances of translating this uniquely specific text into Georgian, how it looks like and how does it differ from other writers of the "Consciousness Flow Literature" and based on these similarities and differences, which Georgian translator's experience should be taken into account by Stein's translator? In this paper, we explore the peculiarities of Stein's technique, which was influenced by the influence of the theories of the "father of American psychology", Stein's teacher, William James, on "Three Lives".

The paper will be a novelty for readers and researchers of twentieth-century American literature, for those interested in the techniques of flow of consciousness. The great American writer Gertrude Stein first appeared in the Georgian literary space, his translation will definitely be followed by studies, and the material presented by us will have a practical purpose for future researchers of Stein.

The analysis given in the article shows what specific nuances need to be taken into account when translating Stein in order to get an adequate translation into Georgian so as not to lose the famous "Stein style".

Keywords: Gertrude Stein, Modern, Translation, Translation Studies, Theory, Language, Flow of Consciousness, Melanctha, William James, Technology, Repetition

Romani KURASHVILI / Mikheil DARSAVELIDZE, Étudiants en Licence, Université d'État Akakai Tséréféli de Koutaïssi, Géorgie

მხატვრული ტექსტის “მოშინაურების” შესახებ:

ანტუან დე სენტ ეგზიუპერის “პატარა უფლისწულის” ორი ქართულენოვანი თარგმანის მიხედვით

თეზისები: თარგმანის თეორეტიკოსების (სიუზენ ბასნეტი, ანდრე ლეფევერი) მოსაზრებით, მხატვრული ტექსტის თარგმანი უფრო მეტად კულტურული მოვლენაა, ვიდრე - ლინგვისტური ბუნების შემოქმედებითი პროდუქტი. მთარგმნელი კი, როგორც ამ შემოქმედებითი პროცესის სუბიექტი, ერთის მხრივ, თავისი მშობლიური კულტურული კონტექსტის ტყვეობაშია, ხოლო, მეორეს მხრივ, იგი სათარგმნი ტექსტის კულტურული კოდების გავლენას განიცდის და, სხვადასხვა მიზეზით (ხშირად მისთვის აუხსნელი დაინტერესების საფუძველზე), უჩნდება სურვილი, ეს კოდები თავის ენაზე ახსნას. ამ პროცესს თარგმანის თეორეტიკოსი, ლორენს ვენუტი, „ტექსტის მოშინაურებას“ (“Domestication”) უწოდებს: “All translation is fundamentally domestication and is really initiated in domestic culture”.

თარგმანის ინტერკულტურული სიღრმეებით დაინტერესებისას, მსჯელობის ობიექტად უნდა ვაქციოთ: სათარგმნი მასალის მხატვრული თავისებურებები, ისტორიული და ფილოსოფიურ-რელიგიური კონტექსტები, მთარგმნელის არჩევანის მიზეზი, მისი მიზნები... ამ თვალსაზრისით, საინტერესოდ მიგვაჩნია ანტუან დე სენტ ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“, რომელიც 250-ზე მეტ ენასა და დიალექტზე ითარგმნა და, მათ შორის, ოთხგზის - ქართულ ენაზე (გიორგი ჩიმაკაძე - 1963, ბაჩანა ბრეგვაძე - 1996, გიორგი ეკიზაშვილი - 2003, მერაბ ფიფია - 2006).

ჩვენს მოხსენებაში ვიმსჯელებთ „პატარა უფლისწულის“ ორი ქართულენოვანი (ბ. ბრეგვაძის, მ. ფიფიას) თარგმანის, როგორც ორ სხვადასხვა ეპოქაში (90-იანი, 2000-იანი წლები) შესრულებული თარგმანების შედარების საფუძველზე და შევეცდებით, გავარკვიოთ:

იქონია თუ არა გავლენა ისტორიულმა რეალობამ ა. ეგზიუპერის ტექსტის ქართულად „მოშინაურებულ“ ვერსიებზე; რა როლს ასრულებს ორიგინალსა და თარგმანებში ტექსტის ექსპრესიულობის გამომხატველი საშუალებები: ბიბლიური (თუ სხვა წარმომავლობის) ალუზიები, ფრთიანი გამოთქმები, რემინისცენციები; ემთხვევა თუ არა ერთმანეთს ორი ქვეყნის კულტურული კოდები და პარადიგმები; რა ფუნქცია აქვს პერსონაჟების წარმომავლობას, მოხეტიალე თემებსა და მოტივებს - როგორც ორიგინალში, ასევე - თარგმანებში; რა სავარაუდო განზრახვამ (თუ გაუცნობიერებელმა ინტერესმა) განაპირობა მთარგმნელების არჩევანი; როგორია ქართულ ყაიდაზე „მოშინაურებული ტექსტის“ მხატვრულ - ესთეტიკური ღირებულება და

რამდენად არის ქართულ ენაზე ამეტყველებული უფლისწული უკვე მივიწყებული ბავშვობის გახსენება ქართულენოვანი მკითხველისათვის.

საკვანძო სიტყვები: ტექსტის მომინაურება, ალუზიები, ფრთიანი გამოქმედი, რემინისცენციები

Abstract: According to translation theorists (Susan Busnett, Andre Lefevre), translation of a fictional text is more a cultural event than a creative product of a linguistic nature. The translator, as the subject of this creative process, is captivated by his native cultural context on the one hand, and on the other, he is influenced by the cultural codes of the translated text and, for various reasons (often unexplained in his interest), wish to explain these codes in his own language. This process is translated by Laurence Venut, a translation theorist who calls it "Domestication": "All translation is fundamentally domestic and is really initiated in domestic culture."

When looking at the intercultural depth of translation, we should consider the following: artistic features of the material, historical and philosophical-religious contexts, the reason for the translator's choice, his goals ... In that sense, we find interesting Antoine de Saint Exupéry's "The Little Prince", which is Translated into 250 language and dialect and, between them, four time - in Georgian language (George Chimakazde - 1963, Bachana responsible - 1996, George Ekizashvili - 2003, Merab Pipia - 2006).

In our report, we will discuss the translation of two Georgian versions of "The Little Prince" (B. Bregvadze, M. Pipia), as performed in two different eras (90s, 2000s), and we will try to find out:

Did the historical reality have an impact of Georgian "domestic" versions of the Exuper's text?; What is the role of expressiveness of the text in the original and in the translations: biblical (or other) allusions, winged expressions, reminiscences; Whether the cultural codes and paradigms of the two countries coincide; What is the function of the characters' origins, wandering themes and motives - both in the original and in the translations; What alleged intent (or unrequited interest) caused the choice of translators; What is the artistic and aesthetic value of "domestic text" in Georgian culture.

Keywords: Domestication, Allusions, Winged Expressions, Reminiscences

Salome LAPACHISHVILI, Doctorante, Université d'État Ilia, Tbilissi, Géorgie

Georgian Postmodern Novel in English Translation

("The Cyclops Bomb")

Abstract: The conference paper deals with the English translation of the Georgian postmodern novel "The Cyclops Bomb" by Guram Odisharia.

The novel, that was published in English in 2013, carries the author - protagonist reference, as the author, like the protagonist Georgian TV cameraman finding himself in various conflict zones, travels a lot to various regions of Caucasus to study the conflicts.

On his part, the writer dedicates the novel to cameramen, who reveal and maintain the historical narratives through the TV camera with wordless solemnity and genuine feelings.

The novel interweaves a range of stories presented with a dynamic rhythm in the overwhelming manner of a camera shot that offers the translator a distinct task to follow the textual rhythm in the course of the multilayer plot translation.

The conference paper aims at discussing the novel on peace and war by means of comparative translation analysis focusing on the translation means of rendering the distinct narrative style of multilayer novel. It discusses the distinct challenges to the translator to retain the literary voice of the original text.

We shall sum up the postmodern essence of the novel "written in the TV camera language", as the author refers to the novel's distinct literary texture.

Key words: postmodern novel, narrative prose, memory, comparative translation analysis, journalists in hot spots, regional conflicts

Atinati MAMATSASHVILI, Professeur, Université d'État Ilia, Tbilissi, Géorgie / Fond National de la Recherche, Luxembourg

ავტოთარგმანი და ქართული ლიტერატურა დევნილობაში მეორე მსოფლიო ომის პერიოდში

თეზისები: ჩვენი კვლევის თემაა რუსეთის მიერ 1921 წელს ოკუპირებული საქართველოდან ემიგრაციაში წასული ქართველი მწერლების ტექსტები, რომლებიც გამოქვეყნდა საფრანგეთში. გაეცნენ რა საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმს, ემიგრანტი მწერლები აღმოჩნდნენ ევროპაში ნაციზმის და ანტისემიტის აღზევების წინაშე. ისინი ხშირ შემთხვევაში ქართულ ენაზე წერას აგრძელებენ და ქართულ ემიგრანტულ ჟურნალებში აქვეყნებენ თავიანთ ტექსტებს. ჩვენ გვინტერესებს, რა ადგილი უკავია მათ შემოქმედებაში ფრანგულ ენას. საქმე ეხება ავტოთარგმანს თუ ორი განსხვავებული ენის გამოყენებას (ფრანგულის და/ან ქართულის) იმისდა მიხედვით, თუ რა თემას ეძღვნება თავად ტექსტი? დ'ატრეიანის კრებული, მაგალითად, რომელიც 1939 წელს გამოიცა, შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: ლექსების ნაწილი, რომელიც ევროპაში მიმდინარე აქტუალურ პრობლემებს ეხება (ნაციზმი, ანტისემიტობა), ფრანგულად არის დაბეჭდილი, ხოლო იგივე კრებულის მეორე ნაწილში შემავალი ლექსები, რომლებიც ეძღვნება დევნილობის

გამოცდილებას, საბჭოთა რეჟიმის კრიტიკას და სამშობლოს, ქართულ ენაზეა მოცემული. როდესაც გიორგი ყიფიანი ავტოთარგმანს მიმართავს, დაისმის შეკითხვა - რაში მდგომარეობს განსხვავება ორიგინალსა და ფრანგულ ენაზე თარგმანს შორის (ორივე ტექსტი, ქართული და ფრანგული, ერთი და იგივე კრებულშია შესული)? რა სურს ავტორს გაუზიაროს *მხოლოდ* ქართულ აუდიტორიას და რა - ფრანგულს? გრუტმანისთვის კითხვები, რომლებიც ამ კუთხით უნდა დავსვათ, შემდეგია: ვინ თარგმნის? რომელი ენიდან რომელ ენაზე? რატომ? რა ტიპის აუდიტორიისთვის? რა მიზნით (Grutman in Lagarde & Tanqueiro 2013). მეორე მსოფლიო ომის ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტის ფარგლებში, ჩვენი კვლევის ძირითადი ფოკუსი არის ემიგრაციაში შექმნილი ქართული ლიტერატურა და მისი ბედი/განვითარება იმ ალტერნატიული მწერლობის ენის გათვალისწინებით (ქართული/ფრანგული/ავტოთარგმანი), რომელიც პირდაპირ უკავშირდება პოლიტიკურ კონტექსტს.

საკვანძო სიტყვები: ავტოთარგმანი, ქართული ემიგრაცია, დევნილობა, საფრანგეთი, ნაციზმი, საბჭოთა რეჟიმი, მეორე მსოფლიო ომი

Abstract: We will focus on the texts of Georgian writers who went into exile in France after the occupation of Georgia by the Russian army in 1921. Having fled the Soviet totalitarian regime, they found themselves facing the advent of Nazism and anti-Semitism in Europe. They often write in the Georgian language and publish in Georgian emigration magazines. What interests us is to see what place is given to writing in the French language. Is it a matter of self-translation, or rather of the distinct use of the language (French or Georgian) determined by the issue to be addressed? In the works by D'Atreiani, for example, the anthology of poems published in 1939 in Paris is presented as follows: one part, referring to the current historical context (notably anti-Semitism, Nazism), is composed in French, while the other part, invoking rather the experience of exile, criticism of the Soviet regime, the homeland, is written in Georgian language. When George Kipiani uses self-translation, the question to ask is the following: what is the difference between the original and the translated text in French (both present in the same edition)? What does the author want to *share* with the Georgian public and/or the French public? For Grutman, the questions to be asked in this sense are the following: Who translates? From which languages to which languages? What is the reason for this? For what public? For what purposes? (Grutman in Lagarde & Tanqueiro 2013). In the historical and political context of the Second World War, our study intends to focus on the literature that emerged from the Georgian emigration and its destiny in a host country such as France, while considering the alternatives as to the language of writing that arise which are not unrelated to politics.

Keywords: Self-translation, Georgian emigration, exile, France, Nazism, Soviet regime, Second World War

Mariam MARJANISHVILI, Docteur en Philologie, Chercheuse, Musée historique d'État de Koutaïssi, Géorgie

ნიკოლოზ ჯანელიძის მთარგმნელობითი მოღვაწეობა

თეზისები: ყოველი ადამიანის თითოეული ნაბიჯი ისტორიაა, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგაც ისეთი ხანგრძლივობით განაგრძობს სიცოცხლეს, თუ რამდენად ემსახურა იგი თავისი ერის კეთილდღეობას. მოხსენებაში წარმოვადგენთ ემიგრანტ ნიკოლოზ ჯანელიძის მთარგმნელობით მოღვაწეობას.

მეორე მსოფლიო ომში ტყვედ ჩავარდნილი ნიკოლოზ ჯანელიძე სტალინური რეპრესიების შიშით გერმანიაში დარჩა და 50 წელი ემსახურა ომით დანგრეული გერმანული ერის სულიერ აღორძინებას, ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობის განმტკიცებას.

იტცეპოეში მან დაარსა გამომცემლობა „საქართველო“, სადაც სისტემატიურად ბეჭდავდა გერმანულ ენაზე თარგმნილ ქართულ მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს.

პირველი გერმანულად თარგმნილი წიგნი „ნინო მოციქული“ - „Die Apostolin Nino“ 1961 წელს დაიბეჭდა. 1970 წელს გამომცემლობა „საქართველო“-ში დაიბეჭდა ლილი პაპე-გეგელაშვილის, ულრიხ პაპესა და ნიკოლოს-ჯანესის ერთობლივად თარგმნილი წიგნი „ქართული სამზარეულო“.

მის შემოქმედებით ნუსხაში შედის ასევე: 1974 წელს იმავე გამომცემლობა „საქართველო“-ში გერმანულ ენაზე გამოცემული „ქართული ზღაპრები“, 1976 წელს დაბეჭდილი ქართული პატარა მოთხრობები: ვაჟა-შაველას „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ბუნება“, ილია ჭავჭავაძის - ნაწყვეტი „გლახის ნაამბობიდან“ - „მონადირე“; 1983 წელს - „დედა ენა“, ხოლო 1984 წელს კი „ვეფხისტყაოსნის“ შემოკლებული გერმანული პროზაული თხრობა და სხვ.

იგი იყო პირველი ქართველი, რომლის დაუღალავი ღვაწლი 1983 წელს ალბერტ შვაიცერის სახელობის მშვიდობის მედლით აღინიშნა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნიკოლოზ ჯანელიძე მიეკუთვნებოდა იმ მრავალმხრივსა და ქართველი ერისათვის თავშეწირულ მოღვაწეთა რიცხვს, რომელიც XIX საუკუნის საქართველომ ჩვენ დროს უანდერძა.

საკვანძო სიტყვები: ემიგრანტი, გამომცემლობა „საქართველო“, იტცეპოე, შვაიცერის მედალი

Abstract: Each person's step is a history which continues its life even after their death and lasts according to how well they served the needs of their country. In this respect we would like to present the life and creative work of an emigrant Nikoloz-Janezi (Nikoloz Janelidze).

During the World War II, he was taken hostage and stayed in Germany, far from Stalin's repressions. For 50 years he served the destroyed German nation to help it in

its spiritual revival, to develop and strengthen the cultural links between Georgia and Germany.

In Ikzehoe, he founded the publishing house “Sakartvelo” where he regularly published German translations of the best works of Georgian writing.

The first book translated into German was “Die Apostolin Nino” which was published in 1961. In 1970, “Sakartvelo” published “The Georgian Cuisine”, translated by Lili Pape-gegelashvili, Ulrich Papes and Nikoloz-Janezi.

His creative list includes: the German translation of “Georgian Tales” published in “Sakartvelo” in 1974, Georgian short stories: Vazha-Pshavela’s “The story of the roebuck”, “Nature”, passages from Ilia Chavchavadze’s “The hermit”, “The Hunter” published in 1976; in 1983 – “Deda Ena” and in 1984 – a short prosaic version of “The Knight in the Panther’s Skin” in German and other.

He was the first Georgian whose great contribution was awarded a medal of Albert Schweizer in 1983.

We can certainly say that Nikoloz Janelidze belonged to the group of Georgian creative people who devoted their lives and creative work to their nation.

Keywords: Emigrant, Publishing House "Georgia", Ikzehoe, Schweizer Medal

Giorgi MASALKIN, Professeur associé, Université d’État Chota Roustavéli de Batoumi, Géorgie

*ჯორჯ ორუელის „1984“-ის თარგმნის და აღქმის საკითხები
საბჭოთა კავშირში და დღეს*

თეზისები: ჯორჯ ორუელის რომანი „1984“, რომელიც სსრკ-ში პირველად მხოლოდ 1989 წელს ითარგმნა, ანტიტოტალიტარული და ანტიკომუნისტური აზრის და ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშად ითვლება. არსებობს მონაცემები, რომ, როგორც თანამედროვე რუსეთში, ასევე თანამედროვე საქართველოში, ჯორჯ ორუელის ეს რომანი ყველაზე ხშირად წაკითხვადი წიგნების ათეულში შედის.

მოხსენებაში გაანალიზებულია ორუელის რომანის თარგმანის პერიპეტიები საბჭოთა კავშირში. ეს ანალიზი მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ რომანი დღესაც ახდენს გავლენას განსაკუთრებით პოსტ-ტოტალიტარული ქვეყნების მოსახლეობის პოლიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებაზე. ამ გავლენას რომანი ახდენს შინაარსობრივად, ტოტალიტარული საზოგადოების თავისებურებანის ერთ-ერთი საუკეთესო ანალიტიკური და, ამავე დროს, მხატვრული აღწერით; ასევე, თავისი ენობრივი შემადგენლით, კერძოდ, ე. წ. „ახალმეტყველებით“ (Newspeak, Новояз), რომელიც თანამედროვე პოლიტიკური ტერმინოლოგიის ნაწილი გახდა. „ახალმეტყველების“ ერთეულების თარგმანი რუსულ და ქართულ ენაზე საინტერესოა როგორც უშუალოდ ენობრივი თვალსაზრისით, ასევე მისი პოლიტიკური დატვირთვით. „ახალმეტყველება“ არის სპეციფიკური ენა, სპეციფიკური

მიზნებისთვის შექმნილი და ამიტომ მისი თარგმნა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. მოხსენებაში განხილულია „ახალმეტყველების“ თარგმნის სპეციფიკა და, ზოგადად, კონტექსტი.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური ტერმინოლოგია, „ახალმეტყველების“ თარგმნის სპეციფიკა

Abstract: George Orwell's *1984*, - the first translation of which was published in the USSR only in 1989, - is considered as one of the finest examples of antitotalitarian and anticommunist literature. It has been argued that this work of Orwell's is in the top ten reading books in contemporary Russia as well as in Georgia.

In my topic I will analyze the story of Orwell's translation in the USSR. The analysis of this issue is relevant because Orwell's *1984* is still exerting influence on the popular political thought in post-totalitarian countries. This influence stems from the analytical and artistic description of the peculiarities of totalitarian society which is given in the novel. Particularly interesting is language component of the novel, namely, so called "Newspeak" (Новояз) – the word which has become an integral part of contemporary political vocabulary. Translation of the words from Newspeak in Russian and Georgian is interesting not only from the perspective of translation studies, but also from the political perspective as well. Newspeak is a specific language created for the specific purposes, so its translation is connected with certain difficulties. Consequently, translation issues of Newspeak and its context will also be analyzed in this regard.

Keywords: Political terminology, specifics of the translation of "Newspeak"

Agnieszka MATUSIAK, Professor, University of Wroclaw, Poland

Literary Translation as an Emancipating Factor of the Ukrainian Culture during the Period of 'Executed Renaissance'

Abstract: In my lecture I will try to analyze the role and importance of literary translations of Western European texts for the formation of Ukrainian socio-cultural identity in 1920s. This is a very important period in the Ukrainian culture – a period of intensive struggle of the Ukrainian culture against aggressive imperial hegemony of Soviet Russian culture. Representatives of 'Executed Renaissance' were repressed and even executed by Soviet regime. Nevertheless, they tried to convey in their works meanings which were opposed to the established ideological norms and standards. This interesting period will be analyzed from the perspective of cultural studies which will be supplemented by research strategies related to the so called "translation turn".

Keywords: Identity, Executed Renaissance, Ukrainian culture, Ideological norms and standards

Darejan MENABDE, Docteur en Philologie, Professeur invité à l'Université d'État Iv. Javakhishvili de Tbilissi, Géorgie

ძველი ქართული პროზის თანამედროვე ევროპულენოვანი თარგმანები და გამოცემები

თეზისები: ეროვნული ლიტერატურის უცხო ენებზე თარგმნას უმნიშვნელოვანესი ინტერკულტურული ფუნქცია აკისრია. ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, მწერლებსა და მთარგმნელებს ადრინდელ გაცნობიერებული ჰქონდათ მთარგმნელობითი საქმიანობის როლი და მისია მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში ქართული მწერლობის ინტეგრაციის მიზნით. თუ XIX საუკუნეში აქტუალური იყო ევროპული ლიტერატურის ქართულ ენაზე გადმოღება, XX საუკუნეში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საკუთრივ ქართული ლიტერატურის ევროპულ (გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, ჩეხურ, უნგრულ და ა.შ.) ენებზე თარგმნას.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება XXI საუკუნეში შესრულებული ძველი ქართული პროზის კლასიკური ტექსტების („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „აბო თბილელის წამება“) ევროპულენოვანი თარგმანები - აღჭურვილი სამეცნიერო აპარატით („Das Leben des Grigol von Chandsta“ - იენა, 2000. თარგმანი ზ. სარჯველაძისა და ჰ. ფენრიხისა; „Szent Abo veértanúsága“ - რომი, 2003. თარგმანი გ. შურდაიასი).

ცალკე გამოვყოფთ ჩვენში და საზღვარგარეთ წარსულში შესრულებული თარგმანების ბოლო წლების ხელახალ გამოცემებს.

2019 წელს ლაიფციგში დაიბეჭდა წიგნი „Martyrien (Altgeorgische Heiligenlegenden)“, რომელშიც შესულია სამი ტექსტის ადრინდელი თარგმანები („ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ - ბერლინი, 1901. თარგმანი ივ. ჯავახიშვილისა; „აბო თბილელის წამება“ - ლაიფციგი, 1905. თარგმანი კ. შულცისი; „შუმანიკის წამება“ - თბილისი, 1983. თარგმანი ნ. ამამუკელისა). გამოცემა ორიენტირებულია გერმანულენოვან მკითხველზე (ისტორიული ცნობები და მიმოხილვანი, კომენტარები, მონაცემები მთარგმნელთა შესახებ და ა.შ.), რაც უცხოელ მკითხველს სრულფასოვან წარმოდგენას უქმნის ტექსტსა და მასთან დაკავშირებულ გარემოებებზე.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოშივე უცხოენოვანი თარგმანის ისეთი გამოცემა, რომელიც ორიენტირებულია ქართველ მკითხველზე - 2017 წელს თბილისში გამოიცა ს.-ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ გერმანული თარგმანი „Die Weisheit der Lüge“, რომელსაც ახლავს მთარგმნელის (მ. წერეთელი) წინასიტყვაობისა და ზ. ავალიშვილის ვრცელი გამოკვლევის ქართული თარგმანები, რითაც მკითხველს გერმანულ ენაზე დაწერილი ნაშრომების ქართულ ენაზე გაცნობის საშუალება ეძლევა.

საკვანძო სიტყვები: ძველი ქართული პროზა, XXI ს. ევროპულენოვანი თარგმანები, გამოცემები

Abstract: Translation of national literature into foreign languages has a significant intercultural function. Georgian public figures, writers and translators from early times were well-aware of the role and mission of translation activity for integration of Georgian literature into the world literary process. If in the 19th c. it was important to translate European literature into the Georgian language, in the 20th c. special attention was paid to translation of Georgian literature proper into the European languages (German, French, English, Czech, Hungarian, etc.).

The presentation deals with the translations of the classical texts of old Georgian prose (*The Life of Saint Gregory of Khandzta*, *The Martyrdom of Saint Abo Tbileli*) made in the 21st c. (*Das Leben des Grigol von Chandsta* – Jena, 2000. Translated by Z. Sarjveladze and H. Fenrich; *Szent Abo veértanúsága* – Rome, 2003. Translated by G. Shurghaia). The translations are accompanied by introductory articles, scholarly apparatus, commentaries, etc.

We would like to single out separately recent reprinted editions of earlier translations published earlier both in Georgia and abroad.

In 2019 the book *Martyrien (Altgeorgische Heiligenlegenden)* was published in Leipzig, which includes earlier translations of three texts (*The Martyrdom of Saint Shushanik*, *The Martyrdom of Saint Eustatius*, *The Martyrdom of Saint Abo Tbileli*). The publication is intended for the German-speaking readers (it includes historical information and overviews, commentaries, information about the translators, and so on), which gives the foreign readers a complete impression concerning the texts and circumstances related with them.

Equally important is a publication of a foreign-language translation in Georgia which is targeted on the Georgian reader – in 2017 the German translation *Die Weisheit der Lüg* of *The Book of Wisdom and Lies* by S.-S. Orbeliani was published in Tbilisi, which is accompanied by the Georgian translations of the translator's (M. Tsereteli) foreword and the extensive introductory article by Z. Avalishvili, which allows Georgian readers to familiarize in the Georgian language with the studies written in the German language.

Keywords: Old Georgian prose, translations, publications in the 21st European languages.

Tamar MSHVENIERADZE, Chercheuse indépendante

Le problème de la traduction des termes médicaux

Résumé: La traductologie, en tant que science, est un domaine très vaste, donc un lieu d'innombrables discussions.

Elle peut comprendre différents aspects. Outre la traduction des littératures mondiales qui est très répandue en toutes les langues, il existe également des traductions des domaines spécialisés, autrement dit « techniques ». Ainsi, le terme « technique » s'applique à tous les domaines dans lesquels une terminologie spécifique est utilisée.

Dans la communication que je vais présenter à ce colloque, je me fixe pour objectif d'analyser les problèmes traductologiques dans le domaine médical. Ainsi, en m'appuyant sur mon propre expérience, je vais essayer d'éclaircir et de montrer quels sont des pistes et des moyens utilisés pour arriver à un bon transfert du sens de la langue source à la langue cible, en prenant en considération tous les facteurs qui sont nécessaires lors de la compréhension, l'interprétation et la traduction des textes techniques, dans notre cas médicaux.

Le corpus de ma proposition est constitué de la terminologie médicale, c'est-à-dire des termes médicaux que j'ai collectés lors de mon expérience traductologique tout au long de mon activité dans ce domaine.

Mots-clés: traduction, transfert, interprétation, termes, terminologie, médecine, médical

Tinatin MSHVIDOBADZE, Professeur, Université d'État de Gori, Géorgie

*ლიტერატურული ნაწარმოებების თარგმანების კრეატიული კომპიუტერული
გააზრება ციფრულ ეპოქაში*

თეზისები: ელექტრონული და ციფრული ტექნოლოგიების დანერგვამ განაპირობა მთარგმნელობითი აზროვნების გაფართოება.

ციფრული ნამუშევრების თარგმნა, რომელიც კომპიუტერული პროგრამების საშუალებით ხორციელდება, წარმოადგენს ახალ გამოწვევას, რომელიც სცილდება მთარგმნელების მიერ გადმოცემულ ლიტერატურის ტიპური ფორმების ფარგლებს უფრო რთულ დონეზე.

მოხსენებაში აღწერილია კრეატიული კომპიუტერული გააზრების დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია მთარგმნლის მუშაობა როგორც პროგრამულ კოდურ გარემოში, ასევე ენაში, კოდების შესწავლის, პლატფორმის კვლევებისა და ექსპრესიული დამუშავების სფეროებში შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე.

ნაჩვენებია პროექტი (<http://trope-tank.mit.edu/renderings/>) სახელწოდებით „Trope Tank“, რომელიც 2014 წელს დაარსდა მასაჩუსეტის ტექნოლოგიების ინსტიტუტის ლაბორატორიაში. პროექტის მიზანია მაღალ კომპიუტერული და უჩვეულო ციფრული ლიტერატურის ინგლისურ ენაზე თარგმნა.

ციფრული ტექნოლოგია და განსაკუთრებით ტექსტების ჰიპერმედიატიზაცია, გულისხმობს თარგმანის ერთ – ერთ ძირითად მამოძრავებელ ძალას, კერძოდ, მუდმივი ასოციაციური აზროვნების პროცესს.

ციფრული სამყაროს სიძლიერე მისი "პლასტიურობაა". შინაარსი არამარტო პლასტიურობას იძენს, არამედ შინაარსსაც შეუძლია წარმოშვას სხვადასხვა სენსორული შედეგები. ციფრულ სიტყვას ტექსტში არ აქვს მითითებული ადგილი; იგი თავისუფალია ტექსტისგან, რომელიც აღარ არის დამოკიდებული მის ქრონოლოგიურ ან რიგით არსებობაზე. ციფრული განზომილება არ არის ორგანიზებული თანმიმდევრობით, არამედ

სემანტიკური ურთიერთობების საშუალებით. ამ გაგებით, გაციფრულება გვაძლავს, ნამუშევრები მოცემულ დროში მივიღოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ციფრული შენახვა ვერ მოხდება სტატიკური ან ფიქსირებული ფორმით. ისინი არსებობენ მხოლოდ როგორც დროებითი ფენომენები, რომლებიც დამოკიდებულია მომხმარებლის მოქმედებებზე და აღქმებზე.

ციფრული სამყარო საშუალებას გვაძლავს, ტექსტების ინტერპრეტაცია ყველაზე სრულყოფილი გზით წარმოგიდგინოთ. ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ გამოსახულებები, რომლებიც შეიცავს სიტყვიერ, ვიზუალურ, მუსიკალურ და ხმოვან კომპონენტებს, რაც საშუალებას მისცემს ადამიანს, სხვადასხვა პერსპექტივიდან მიუახლოვდეს გამოსახულებას, შექმნას მრავალჯერადი სენსორული გამოცდილება.

ამგვარად, ციფრული ტექნოლოგია საშუალებას გვაძლავს უფრო სრული წარმოდგენა შეგვექმნას ლიტერატურულ ნამუშევრებზე, და, ამავე დროს, შესაძლებლობას გვაძლავს, უწყვეტი ურთიერთქმედება დავამყაროთ ნამუშევრებთან.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ლიტერატურა, ჰიპერმედიატიზაცია, სემანტიკური ურთიერთობები, ტექსტების ინტერპრეტაცია.

Abstract: The introduction of electronic and digital technology prompted a widening of translation thinking.

Translating digital works that are implemented as computer programs presents new challenges that go beyond the already difficult ones tackled by translators of more typical forms of literature.

This article describes an undertaking related to the broadly understood discipline of creative computing and studies the work of the translator as taking place both in code and language, drawing from the methodologies developed by the fields of code studies, platform studies, and expressive processing.

Is shown the Renderings project (<http://trope-tank.mit.edu/renderings/>) established in 2014 and developed at the Massachusetts Institute of Technology in a laboratory called the Trope Tank. The goal of the project is to translate highly computational and otherwise unusual digital literature into English.

Digital technology and especially the hypermediatization of texts that it implies reconfirmed one of the basic driving forces of translation, namely, the constant process of associative thinking.

The strength of the digital world is its “plasticity.” Not only does the content assume plasticity but also the content can emerge through different sensory outputs. The digital word in a text has no fixed place; one is free from the text, which no longer depends on its chronological or sequential presence. The digital dimension is not organized by succession, but rather by means of semantic relationships. In that sense, digital gets us to access works in the present, which also means that the digital can

never be saved in a static or fixed form. They exist only as temporary phenomena depending on the actions and perceptions of the user.

The digital universe allows us to present the interpretation of texts in the most comprehensive way. We can create objects that contain verbal, visual, musical, and sound components that will allow a person to approach the object from various perspectives to create a multiple sensory experience. Thus, digital technology allows us to create a more total understanding of a work and, at the same time, a possibility to establish a continuous interaction with the work.

Thus, digital technology allows us to create a more total understanding of a work and, at the same time, a possibility to establish a continuous interaction with the work.

Keywords: Digital Literature, Hypermedia, Semantic Relationships, Text Interpretation

Magda MTCHEDLIDZE, Professeur invité, Université d'État Iv. Javakhishvili de Tbilissi, Géorgie

თარგმანი როგორც კვლევა

(ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელისა და იოანე პეტრიწის თარგმანები)

თეზისები: ტექსტის ერთი ენიდან მეორეზე გადმოღებისას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე საღვთისმეტყველო–ფილოსოფიურ ნააზრევს შეეხება, მთარგმნელი მკვლევრადაც გვევლინება, რომლის ინტერპრეტაცია, შესაძლოა, არსებითადაც კი ცვლიდეს სათარგმნი ტერმინებისა და, შესაბამისად, მთლიანი ტექსტის შინაარსს. მოხსენებაში საკითხის ნათელყოფას შევეცდებით ერთი კონკრეტული ტერმინის ἄσχετος –ის გააზრების მაგალითზე იოანე პეტრიწის, ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის თარგმანებში. ნეოპლატონიზმში ეს ტერმინი ჩვენ გვანტერესებს ემანაციონიზმთან მამართებაში, ხოლო ფსევდო–დიონისე არეოპაგელის თხზულებებში – ღვთის შემოქმედებით გამოსვლებთან. განსაკუთრებით პრობლემურია ამ ტერმინის გაგება არეოპაგიტული კორპუსის მთარგმანელებთან. მაგალითად, სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა ენებზე თარგმანებში იგი გაგებულია როგორც: „immensurables“ (Ionannes Scotus Erigena); „incomprehensibles“ (Balthasar Corderius); „unfaßbar“ (J. Stiglmayr); resistless (J. Parker), „ceaseless“ (C. E. Rolt); „unwiderstehlich“ (B. R. Suchla); неупержимый“ (Г. Эйкалович), „absolu“ (Y. de Andia). ფსევდო–დიონისეს ეფრემისეულ თარგმანებში ამ ტერმინის შესაბამისად უმთავრესად არის „უთვისო“ (ასევე გვხვდება „განუყოფელი“, „ვერ შესაპყრობელი“ და სხვ.). ჩვენ შევეცდებით ჩავწვდეთ ამ მთარგმნელთა ინტერპრეტაციებს, ისევე როგორც იოანე პეტრიწის მიერ პროკლეს „თეოლოგიის ელემენტების“ თარგმანში ἄσχετος–ის გადმოცემას „მიუნაქუსოდ“ (რაც მის მიერ პროკლეს ფილოსოფიის ღრმა შესწავლის შედეგია). მოხსენებაში ასევე განვიხილავთ ἄσχετος–ის როგორც დიალექტიკური ტერმინის ეფრემისა და არსენისეულ შესატყვისობებს იოანე დამასკელის თარგმანებში.

საკვანძო სიტყვები: ინტერპრეტაცია, თეოლოგიური და ფილოსოფიური ტექსტები, ტერმინი „ასქეტოს“

Abstract: When rendering a text from one language into another, especially the theological and philosophical texts, the translator also appears as a researcher whose interpretation may substantially change the content of terms and, consequently, of the entire text. This topic is exemplified in the paper by the interpretations of a term ἄσχετος in the translations of Ioane Petritsi, Ephrem Mtsire and Arsen of Ikalto. The understanding of the term ἄσχετος is especially problematic in the translations of Corpus Areopagiticum. For example, at different times and in different languages, it was interpreted by translators as: “immensurables” (Ioannes Scotus Erigena); „incomprehensibles“ (Balthasar Corderius); „unfaßbar“ (J. Stiglmayr); resistless (J. Parker), „ceaseless“ (C. E. Rolt); „unwiderstehlich“ (B. R. Suchla); неупрочимый“ (Г. Эйкалович), absolu“ (Y. de Andia) etc. In Ephrem Mtsire’s translation, the term is mainly rendered as „უთვისო“ - ‘non-relative’ (other equivalents offered by Ephrem are “განუყოფელი” - indivisible, „ვერმესაპყრობელი“ - ‘impossible to be perceived’, etc.). The paper attempts to provide an in-depth analysis of these translations as well as of Ioane Petritsi’s rendering of ἄσχετος in Proclus’ “Elements of Theology” as „მიუნაქუსო“ - ‘non-connected’ (which attests to Ioane’s deep knowledge of Proclus’ philosophy). The paper also discusses equivalents offered by Ephrem and Arsen for ἄσχετος as a dialectical term used by John of Damascus.

Keywords: interpretation, theological and philosophical texts, the term ἄσχετος

Maia NACHKEBIA, Chercheuse à l’Institut de littérature géorgienne, Université d’État Iv. Javakhishvili de Tbilissi, Géorgie

„თეატრი თეატრში“: ბაროკოს ესთეტიკა ქეთევან დედოფლისადმი მიძღვნილ სლოვაკურ პიესაში ~

თეზისები: 1701 სლოვაკეთის ქალაქ სკალიცაში შეიქმნა და სკალიცის გიმნაზიის სცენაზე დაიდგა სასკოლო პიესა სათაურით „ქეთევანი, ქართველთა დედოფალი, თვისივე სისხლით შემკული, სცენაზე წარმოდგენილი“. მოხსენების ავტორმა წინამდებარე პიესა ძველი სლოვაკური ენიდან (ე.წ. სლოვაკიზირებული ჩეხური ენა) ქართულად თარგმნა. პიესა ისტორიულ წყაროებს ემყარება, მაგრამ იგი საყურადღებოა აგრეთვე იმით, რომ მთავარი მოქმედების გარდა, სადაც ისტორიული პირები ფიგურირებენ, არის მეორე პლანი, დამოუკიდებელი პიესა, აგებული მითებსა და მითოლოგიურ სახეებზე და რომელიც ალეგორიულად ძირითადი სიუჟეტის განმარტებასა და კომენტარს წარმოადგენს.

მოხსენების ავტორი სლოვაკურ პიესაში ქეთევან წამებულის შესახებ ანალიზებს დრამატული მასალის ორგანიზების ერთ–ერთ ხერხს „თეატრი თეატრში“. სასკოლო პიესაში ხერხი „თეატრი თეატრში“ ნარატივის როლს

ასრულებს და ბაროკოს ესთეტიკის შესაბამისად გადმოგვცემს პიესის შინაარსს. ეს ხერხი არა მხოლოდ ფორმალურ მხატვრულ ხერხად გვევლინება, არამედ იგი მთელი პიესის განუყოფელი ნაწილი და მისი ალევგორიული კომენტარია. ფენომენი „თეატრი თეატრში“ ახერხებს მაყურებლის ყურადღება გადაიტანოს ძირითადი სიუჟეტის მსვლელობიდან პარალელურ სამყაროში, მითების ნართაული მნიშვნელობით იგი ძირითადი პიესის კომენტირებას ახდენს და ამით კიდევ უფრო აძლიერებს თეატრალური წარმოდგენის ეფექტს და მისით მიღწეულ აღმზრდელობით ეფექტს.

ქართულ თემაზე შექმნილი სლოვაკური სასკოლო პიესის ავტორი ბაროკოს ეპოქაში ფართოდ გავრცელებულ ხერხს „თეატრი თეატრში“ მიმართავს და ბაროკოს ესთეტიკისთვის დამახასიათებელ სარკული ასახვის პრინციპს იყენებს. ასახვა ბაროკოში საკუთარ თავზე უამრავ ესთეტიკურ ამოცანას იღებს, მასში იკვეთება ავტორის მიერ მოხდენილად ურთიერთგადაჯაჭვული რელიგიური იდეები. ამ შემთხვევაში პიესაში ჩართული პიესა, პიესის ძირითადი იდეა, პიესის მთავარი პერსონაჟის ქრისტიანული სარწმუნოებისადმი ერთგულება გააზრებულა მითოლოგიური სახეების მეშვეობით, რაც ამდიდრებს პიესას და მას სანახაობითობას და თეატრალურობას ჰმატებს, თეატრი კი ბაროკოს ყვრელაზე ბაროკოული დარგი იყო მთელი თავისი პომპეზურობითა და ფუფუნებით. ქართულ პიესასთან მიმართებაში სცენაზე ბალეტიც კი ყოფილა წარმოდგებილი.

საკვანძო სიტყვები: სასკოლო პიესა, ქეთევან დედოფალი, „თეატრი თეატრში“, ბაროკო, მითოლოგია

Abstract: In 1701 in a town Skalitsa of Slovakia a school play under the title “Catherine (Ketevan) Queen of Georgian, Decorated With Her Own Blood, Staged” was created and presented in the Skalitsa gymnasium. Author of the article translated this school play from slovakized Czech language (old Slovak language) into Georgian). The play is based on historic sources, but it is interesting also because alongside with the major action, where the historic persons are represented, there is a second plan, independent play, construed on myths and mythological persons and these are allegorical explanations and comments for the basic plot.

The author of the article about Ketevan the Martyr in the Slovak play analyses one of the methods of organization of dramatic material – “Theater in the Theater”. In the “school play” a method “Theater in the Theater” plays a role of a narrative and according to the Baroque aesthetics gives a content of a play. Thus, this method is not only a formal artistic method, but also is an integral part of the whole play and its allegoric comment. The phenomenon “Theater in the Theater” manages to convey spectators attention from the progress of the key plot to the parallel world; by

allusive images of myths it gives comments for the play and thus still more intensifies effect received from theatrical performance and educational impact reached by it.

Thus, the author of a Slovak “school play” created on the Georgian theme addresses a method widely spread in Baroque epoch – “Theater in the Theater”, the principle of mirroring that is characteristic for Baroque aesthetics. Mirroring serves to resolve many aesthetic tasks, it shows author’s splendidly interchained religious ideas. In this case a play inserted in the play, the key idea of the play, devotion of the key personage of the play to the Christian faith, is offered by means of mythological images, which enriches the play and adds to its spectacularity and theatricalism, since a theater was the most Baroque trend of Baroque epoch by its extreme pomposity and luxuriance. Even ballet was devoted to the Georgian play.

Keywords: School drama, Queen Ketevan, “Theater in the Theater“, Baroque, Mythology

Dali NADIBAIDZE, PhD en Philologie, Enseignante au Centre de langues, Université d’État Iv. Javakhishvili de Tbilissi, Géorgie

ახალი აღთქმის ძველი ქართული თარგმანები და მეცნიერული კვლევის პერსპექტივები

თეზისები: საქართველო უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა, მისი ეკლესია სამოციქულოა და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება დაახლოებით 326 წლით თარიღდება. მე-5 ს-ის ქართულ ჰაგიოგრაფიულ ნაშრომში „შუმანიკის წამება“ სახარება უკვე ნახსენებია, რომელიც დედოფალ შუმანიკს ჰქონდა. ჩვენ გვაქვს უძველესი ქართული ხელნაწერები, რომლებიც დაცულია მსოფლიოს წმიდა მონასტრებში, უდიდეს მუზეუმებსა და წიგნთსაცავებში, მათი დიდი ნაწილი შესწავლილია, დიდი ნაწილი კი ჯერ კიდევ გამოსავლენი და შესასწავლი. მათი უმრავლესობა ნათარგმნია ბერძნული ენიდან, არის მნიშვნელოვანი თარგმანები სხვა ენებიდანაც, მაგალითად, სირიულიდან. სახარება ქრისტიანობის საფუძველია და მისი თარგმნა ყველა ქრისტიანული ქვეყნისთვის კულტურისა და ლიტერატურის დიდი ეპოქის დასაბამთან არის დაკავშირებული.

ახალი აღთქმის ბერძნულ-ლათინურ-ქართულ დოკუმენტირებულ ლექსიკონზე მრავალწლიანი მუშაობისას დამიგროვდა გარკვეული დაკვირვებები, რომლებიც ასახული იქნება წინამდებარე მოხსენებაში. ქართულად გვაქვს წმიდა გიორგი მთაწმიდელის უზუსტესი, ქართულ ვულგატად აღიარებული ახალი აღთქმის კანონიკური ტექსტი, გვაქვს დიდი ქართველი მეცნიერის აკაკი შანიძის მიერ გამოცემული „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია“ და ასევე დიდი მეცნიერის ი. იმნაიშვილის მიერ გამოცემული „ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია“. მოხსენებაში

განხილული იქნება, რამდენადაც ეს მოხსენების ფარგლებშია შესაძლებელი, ამ თარგმანების დიდი მნიშვნელობა. იმავდროულად, ბერძნულ დედანთან და ლათინურ თარგმანთან შედარების საფუძველზე შევეცდებით, წარმოვაჩინოთ ქართული თარგმანების მნიშვნელობა ქართველოლოგიური, მთარგმნელობითი და ლექსიკოგრაფიული კვლევებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ახალი აღთქმა, კანონიკური ტექსტი, ქართული თარგმანი

Abstract: Georgia is one of the earliest Christian countries. The Georgian church is the apostolic church, while the declaration of Christianity as the official religion of Georgia is dated to the year 326. A 5th century hagiographical narrative, “The Martyrdom of the Holy Queen Shushanik” already mentions the Gospel that belonged to the Holy Queen. Old Georgian manuscripts are preserved in Holy Monasteries and the greatest museums and libraries of the world. While many of them have already been studied, quite a number of manuscripts still remain to be revealed and examined in the future. Although most of them were translated from Greek, there are important translations from other languages as well, e.g. Syriac. The Gospel is the foundation of Christianity and its translation marks the commencement of the great epoch in the culture and literature of all Christian nations.

This paper presents a number of observations accumulated during my many-year work on the Greek-Latin-Georgian Documented Lexicon of the New Testament. We have in Georgian the canonical version of the New Testament translated by George the Hagiorite (Giorgi Mtatsmindeli), which is the most accurate version; likewise, “Two Old Redactions of the Georgian Gospel”, edited by the renowned Georgian scholar Akaki Shanidze, and “Two Latest Georgian Redactions of the Gospel”, edited by another reputed scholar I. Imnaishvili. The article discusses, to the extent possible for a conference paper, the significance of these translations and by comparing them with the Greek original and the Latin translation, foregrounds their role in Kartvelology, translation studies and lexicographical studies.

Keywords: New Testament, Canonical Text, Georgian Translation

Irina NATSVLISHVILI, Docteur en Philologie, Chercheuse, Université d’État Iv. Javakhishvili de Tbilissi, Géorgie

„ასწლოვანი მატთანის“ რუსულენოვანი თარგმანი (მნიშვნელობა და კულტუროლოგიური ასპექტები)

თეზისები: თანამედროვე გლობალისტური სამყაროს მულტიკულტურულ საზოგადოებაში თარგმანი, როგორც განსხვავებულ კულტურებს შორის ინტერაქციის საშუალება, განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს.

ნებისმიერი ლიტერატურული ტექსტი, უპირველეს ყოვლისა, თავისი ეთნოკულტურული გარემოს ინტელექტუალური პროდუქტია, რომელიც ეპოქისთვის ნიშანდობლივ მსოფლმხედველობრივ და ესთეტიკურ

პარადიგმათა კონტექსტში აღიქმება. შესაბამისად, მისი თარგმნის პროცესში აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინება სრულფასოვანი ინტერკულტურული კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვან და აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ამ თვალსაზრისით, გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მედიევალური ქართული მწერლობის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშის - „ასწლოვანი მათიანის“ - უახლეს თარგმანზე (Анонимный Грузинский Хронограф XIV века. Перевод со старогрузинского Г.В. Цулая, Вып. I. Текст. М., 2005), რომლის მნიშვნელობაზე აშკარად მეტყველებს მისი, როგორც ისტორიის, რეცეპცია თანამედროვე აღმოსავლეთმცოდნეობით, მონდოლოლოგიურ და კავკასიოლოგიურ არაქართულენოვან სამეცნიერო კვლევებში, ვინაიდან თხზულება, თავის მხრივ, შეიცავს უნიკალურ ცნობებს ხვარაზმელთა, მონდოლთა, კავკასიის ხალხების ისტორიისა და კულტურის, აგრეთვე, აფხაზებისა და ქართულ-ოსური ურთიერთობების შესახებ. ეს უკანასკნელი ფაქტორი კი მის რუსულენოვან თარგმანს მეტად აქტუალურს ხდის ქართული სახელმწიფოს მიმდინარე პრობლემებზე პოლიტიკური დისკურსისთვის.

თეზისები: ამა თუ იმ ერის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია თარგმნილი ლიტერატურა, რომელიც მედიატორის ფუნქციას ასრულებს ინტერკულტურულ ურთიერთობებში, ხელს უწყობს, როგორც სათარგმნი ლიტერატურის პოპულარიზაციას უცხოურ ენაზე, ისე ეროვნული ლიტერატურის გამდიდრება-განვითარებას. ამ თვალსაზრისით, ჩვენი ყურადღება მახვილდება ცნობილი ინგლისელი რომანტიკოსი პოეტის, ჯორჯ გორდონ ბაირონის ქართულ ენაზე თარგმანებზე XIX საუკუნეში. ეს პროცესი წარიმართა თავდაპირველად, ჯერ კიდევ ბაირონის სიცოცხლეშივე მისი პოპულარიზაციით საქართველოში და თარგმანებით შუალედური ენის (რუსული, ფრანგული) მეშვეობით (ს. ალექსი-მესხიშვილი, მ. თუმანიშვილი). რუსულ კულტურულ სივრცეში ბაირონის თარგმნა დაკავშირებულია 1822 წელთან. სხვადასხვა პრესის ორგანოებით («Вестник Европы», «Новости литературы», «Библиотека для чтения», и др.) და ნ. გერბელის ტომებით „ლორდი ბაირონის თხზულებანი რუსი პოეტების თარგმანებში“.

ამ პერიოდისათვის „თერგდალეულებმა“ დღის წესრიგში დააყენეს ორი საკითხი: **რა ვთარგმნოთ და როგორ ვთარგმნოთ?** ილია ჭავჭავაძე თავის კრიტიკულ წერილში „ორიოდე სიტყვა...“ აკრიტიკებს რა რუს პოეტს, ივანე კოზლოვს, აყენებს ისეთი თარგმანის აუცილებლობას, რომელიც უცხო ენაზეც ისე აჟღერდება, როგორც ორიგინალში. ილია ჭავჭავაძე თვითონ თარგმნის ბაირონის რამდენიმე ლექსს „ებრაული მელოდიებიდან“, რასაც მოჰყვება ასევე აკაკი წერეთლის თარგმანიც. შემდგომ, განსაკუთრებით XIX საუკუნის 60 - იანი წლებიდან ბაირონის შემოქმედება ითარგმნება და ქვეყნდება ქართულ ენაზე. (ი. ბაქრაძე, ა. ფურცელაძე, ნ. ლომოური და სხვ.). აღნიშნულ საკითხზე ბაირონის თარგმანების შეფასება განხილული აქვთ მკვლევართ მ. კუჭუხიძესა და გ. გაჩეჩილაძეს. ჩვენი ყურადღება კი ძირითადად მახვილდება ი. ბაქრაძის ღვაწლზე, რომლის მდიდარი და მრავალფეროვანი თარგმანები, რომლებიც პირველწყარო ტექსტიდან არ იყო შესრულებული და ნაკლები მხატვრობით გამოირჩეოდა, მაინც უზარმაზარი როლი ითამაშა XIX საუკუნის ბოლომდე ბაირონის შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: ბაირონი, ქართული თარგმანები, იოსებ ბაქრაძე

Abstract: Translated literature, which serves as a mediator in intercultural relations, is one of the integral parts of the cultural life of each nation, contributing to the popularization of translated literature in foreign languages as well as the enrichment and development of national literature. In this regard, our attention is drawn to the 19th-century translations of an English Romantic poet, Lord Byron. That process was commenced in even Byron's lifetime in Georgia through the Russian, French translations. (S. Aleksii-Meskhishvili, M. Tumanishvili). Byron's works' translation into Russian dates back to 1822 via some press of bodies ("Vestnik Evropy", "Novosti

Literatura”, etc.) and by Gerbel's volumes entitled “The works of Lord Byron in Translations of Russian poets”.

At that period, “Tergdaleulebi” placed high on the agenda two subjects: **What to translate** and **How to translate?** According to Ilia Chavchavadze’s critical letter, “A couple of words...”, where he criticized a Russian poet, Ivan Kozlov, who considered that the translated works would be sounded as the source text. Ilia translated some Byron’s poems from “Jewish Melodies”, followed by Akaki Tsereteli’s translation. Since the 1860s Byron's works had been translated and published in Georgian. (Bakradze.I, Purtseladze. A., Lomouri.N., etc). The evaluation of Byron's translations was discussed by the scholars, Kuchukhidze.M and Gachechiladze.G. Our attention is focused on Bakradze’s work, whose translations were not made from the source text and featured as less artistic. However, he played a huge role in promoting Byron's creativity in Georgia until the end of the 19th century.

Keywords: Byron, Georgian translations, Ioseb Bakradze

Marine STORIDZE, Professeur associé, **Sofiko GUDJABIDZE**, Doctorante, Université d’État Chota Roustavéli de Batoumie, Géorgie

*სივრცის სიმბოლური ასპექტები მარგერიტ დიურასის რომანში
„ვიცე-კონსული“ და თარგმანი*

თეზისები: „ვიცე-კონსული“ დიურასის შემოქმედების ყველაზე რთულ ნაწარმოებად ითვლება. ამის შესახებ მარგერიტ დიურასი არაერთ ინტერვიუსა და წერილში საუბრობდა. თუმცა, ეს სირთულე, როგორც მწერალი ამბობდა, შთაგონებისა და შექმნილობის ნაკლებობასთან არ იყო კავშირში. პირიქით, თემები რომანში ძალიან მრავალფეროვანია, შეიძლება ითქვას, ზედმეტადაც. ეს იყო წიგნი, რომელიც მთელი ცხოვრება იწერებოდა და რომელსაც უნდა გადმოეცა ტკივილი მთელი სისავსით, ისე რომ არასოდეს ეხსენებინა მიზეზი, არ ეჩვენებინა მოვლენები, რომლებმაც იგი გამოიწვია.

„ვიცე-კონსულის“ თხრობას განსხვავებულ სივრცეში შევყავართ. ინდოჩინეთის პეიზაჟები, ტბები და მდინარეები მთელი რომანის მანძილზე დომინირებს. ასეთი სივრცე ფაქტობრივად ხდება ცალკე პერსონაჟი, რომელიც სიტყვების გარეშე, ირიბად არსებობს. ინდოჩინეთი, ქალაქები, სიცხე.... თუმცა, ეს არ არის მხოლოდ ტერიტორიები, ეს არის ადგილები, სადაც ადამიანური ყოფა, სილატაკე და თვით არსებობა გაუსაძლისი ტკივილია. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის უკიდურესი სილატაკის ამსახველი რომანი, საიდანაც მოდის ასევე უკიდურესი სევდის განცდაც, სევდის, რომელიც ასევე მოიცავს დამნაშავეობის შეგრძნებასაც. სწორედ ასეთ კონტექსტში მწერლის მიერ სივრცეზე შეჩერებული არჩევანი ძალიან ბევრ სიმბოლურ ასპექტს გვთავაზობს. ამ სივრცეებს შეუძლიათ სიმბოლურად გამოხატონ ჩაკეტილობა, კაემანი, ტანჯვა. ისინი გამოხატავენ გმირების სულიერ მდგომარეობას.

რაც შეეხება თარგმანს, მარგერიტ დიურასის „ვიცე-კონსული“ ქართულად თარგმნილი არ არის. ჩვენ ვთარგმნეთ რომანის გარკვეული ნაწილები,

ვინაიდან ჩვენი კვლევა მოითხოვს ქართულ თარგმანსაც. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ მთლიანი რომანის თარგმნა, რაც დიდ დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ მარგერიტ დიურასის შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველს, არამედ ფრანგული ენის არმცოდნე მკვლევრებსაც.

საკვანძო სიტყვები: სივრცე, სიმბოლო, პერსონაჟი, კონტექსტი, თარგმანი

Abstract: The Vice Consul is considered to be one of Duras's most complex works. Marguerite Duras has spoken about this in numerous interviews and letters. However, this difficulty, as the writer said, was not due to a lack of inspiration and creativity. On the contrary, the themes in the novel are very diverse, one might say too much. It was a book that had been written during whole life and was supposed to convey pain in its entirety, so that it never mentioned the reason, did not indicate the events that caused it.

The story of the "Vice-consul" is transferring us to another place. The novel is dominated by the landscapes of Indochina, lakes and rivers. Such a space actually becomes a separate character, indirectly existing without words. Indochina, cities, heat But these are not just areas, these are places where human life, poverty and self-existence are unbearable pain. We can say that this is a novel about extreme poverty, from which also comes a feeling of extreme sadness, sadness, which also includes sense of guilt. It is in this context that the writer's choice of space offers many symbolic aspects. These spaces can symbolize insularity, sadness, suffering. They express the spiritual state of the characters.

As for the translation, Marguerite Duras' "Vice-Consul" has not been translated into Georgian. We have translated some parts of the novel, as our research requires a Georgian translation as well. Therefore, we decided to translate the whole novel, which will be of great help not only to readers interested in the work of Marguerite Duras, but also to scholars unfamiliar with the French language.

Keywords: Space, Symbol, Character, Context, Translation

Natalia SURGULADZE, Professeur, Université d'État Chota Roustavéli de Batoumi, Géorgie

თარგმანის როლი ფრანგული ენის სწავლების პროცესში

თეზისები: მოცემულ მოხსენებაში განვიხილავთ 3 ტიპის თარგმანს: 1. ინტრალინგვურ (შიდაენობრივ) თარგმანს, როცა თვით შესასწავლ ენაში სინონიმის, ანტონიმის, პერიფრაზირებისა და სხვა მეთოდებით ხორციელდება აზრის გადმოცემა. 2. ინტერლინგვური (ენათაშორისი) თარგმანი, როცა ერთი ენიდან მეორეში ან პირიქით, თარგმანი ხდება ექვივალენტების მოძიებით, ინტერსემიოტიკური თარგმანით ან ვერბალური თუ არავერბალური ინტერპრეტაციის მეშვეობით. 3. მესამე ტიპის თარგმანში

იგულისხმება თარგმანის ინდივიდუალური მეთოდი, კერძოდ, თუ როგორ აღიქვამს უცხო ენის პედაგოგი თავის აზროვნებაში, თავის გრძნობებში შესასწავლ ენას და როგორ აწვდის იგი ამა თუ იმ ტექსტის, გამონათქვამის თუ იდიომების შინაარსს და აზრს, რა ინდივიდუალურ მეთოდებს იყენებს იგი, ეს ხორციელდება მინიშნებებით, ქესტიკულაციით, ვერბალური ან არავერბალური, თუ სხვა საშუალებებით.

ჩემი მოხსენების მთავარი მიზანია, თუ როგორ ვიყენებთ თარგმანს ქართულენოვანი აუდიტორიის წინაშე ფრანგული ენის სწავლებისას, რა მნიშვნელობა ენიჭება მას და რა შედეგებს ვღებულობთ ამ მეთოდის გამოყენებით სწავლების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: თარგმანი, ფრანგული ენა, ინტერპრეტაცია, პერიფრაზი, ვერბალური, არავერბალური

Abstract: The given abstract discusses 3 types of translation: 1. Intralingual translation, an opinion is conveyed in the language of study through synonyms, antonyms, paraphrases and by other methods. 2. Interlingual translation, when translation from one language to another or vice versa is done by finding equivalents, intersemiotic translation, verbal or nonverbal interpretation. 3. The third type of translation involves the individual method of translation, in particular, how a foreign language teacher perceives in his/her thinking and feelings toward language of study and how s/he delivers this or that text, pronunciation, the content and meaning of idioms, what sort of individual methods s/he uses, this is done through implications, gestures, verbal or nonverbal or other means.

The main aim of my presentation is on how we use translation in the teaching of French to the Georgian audience, what is its significance, what results do we get from this method in the teaching process.

Keywords: translation, French language, interpretation, paraphrasing, verbal, nonverbal

Ketevan SVANIDZE, Professeur associé, Université d'État Chota Roustavéli de Batoumi, Géorgie

ენობრივი და კულტურული ბარიერები მთარგმნელობით ასპექტში

თეზისები: თანამედროვე სამყაროში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებმა მთარგმნელობითი აქტივობის ერთგვარი „გამოცოცხლება“ განაპირობა. აღნიშნული პერიოდი და აღნიშნული საქმიანობა უკვე არსებულ (საბჭოთა პერიოდში განხორციელებულ) თარგმანთა ერთგვარ „რეაბილიტაციის“ პერიოდად გვევლინება, როდესაც როგორც ეროვნული ლიტერატურა, ისე მათი თარგმანები ცენზურის მარწმუნებებიდან გათავისუფლების „შვებას განიცდიან“.

გამარტივებული კულტურათაშორისი კომუნიკაციისა და ეროვნული ლიტერატურის თარგმნის სიუხვის პირობებში უფრო მკაფიოდ დგება იმ

ენობრივი (ლინგვისტური) და კულტურული სირთულეების, ე. წ. ბარიერების „აღმოჩენის“ და დაძლევის ხერხების მოძიება, რომლებიც მთარგმნელობითი საქმიანობის წარმატებულად განხორციელებას განაპირობებს. აღნიშნული ბარიერების წარმატებულად გამოვლენა/დაძლევა კი ეროვნული ლიტერატურის აღქმის განმაპირობებელი ფაქტორია.

ვსაუბრობთ რა ენობრივ და კულტურულ ბარიერებზე, კომუნიკაციის ვერბალური (ენობრივი) და არავერბალური (კულტურული) მახასიათებლების შესახებ გვიწევს მსჯელობა. თუმცა, ემპირიული მასალის ანალიზისას ვაწყდებით ვერბალური ნიშნებით შექმნილ სირთულეებს, რომლებიც არ ქმნიან ენობრივ სირთულეს და, შესაბამისად, ვერბალურ ბარიერს, არამედ იწვევენ კულტურათაშორის სირთულეებს, რაც კულტურულ ბარიერად შეიძლება მოიაზრებოდეს.

მოხსენებაში მიმოვიხილავთ თარგმნისას ენობრივი ბარიერის გამოვლენის გზებს, რომელთაც მთარგმნელი აწყდება ფონეტიკურ, ფონოლოგიურ, მორფემულ, ლექსიკურ და გრამატიკულ დონეებზე; განვიხილავთ ასევე კულტურული ბარიერის ენობრივი ხერხებით დაძლევის მექანიზმებს.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული ლიტერატურა, ბარიერები კომუნიკაციაში, ენობრივი ბარიერი, კულტურული ბარიერი

Abstract: The processes of globalization in the modern world have led to a "revival" of translation activities. This period and this activity are a kind of "rehabilitation" of already existing (Soviet) translations, when both the national literature itself, and their translations, as it were, are "freed" from the shackles of censorship.

As a result of simplified intercultural relations and the translation of works of national literature, the linguistic and cultural difficulties of translation are manifested with greater acuteness, with greater clarity. The methods of "discovering" and overcoming barriers, the overcoming of which ensures the success of translation activities, become more significant.

The successful identification/overcoming of these barriers is a key factor in the perception of national literature.

Speaking of linguistic and cultural barriers, we discuss verbal (linguistic) and non-verbal (cultural) features of communication. However, when analyzing empirical material, we encounter verbal characteristics that do not create linguistic difficulties and, therefore, a verbal barrier, but at the same time create intercultural difficulties that can be considered a cultural barrier.

The report discusses ways to identify the language barrier that translators face at the phonetic, phonological, morphological, lexical and grammatical levels; We will also discuss mechanisms to overcome the cultural barrier through language.

Keywords: national literature, barriers in communication, language barrier, cultural barrier

Giorgi TAVADZE, Traducteur, Professeur, Université géorgienne-américaine, Tbilissi, Géorgie

ფილოსოფიური ტექსტების თარგმნის იდეოლოგიური ასპექტები საბჭოთა პერიოდის საქართველოში

თეზისები: საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის მარწუხებში მოქცევის შემდეგ თავისუფალი ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარება უკიდურესად შეფერხდა. ფილოსოფიური ტექსტების თარგმანი მკაცრ სელექციასა და კონტროლს დაექვემდებარა. ბოლშევიკური პარტიის მმართველობის პირობებში მხოლოდ ისეთ ტექსტებს ენიჭებოდა მნიშვნელობა, რომლებიც, პარტიის მესვეურთა აზრით, ცალსახად განამტკიცებდნენ პროლეტარიატის დიქტატურას და „ბურჟუაზიულ“ მსოფლმხედველობას უპირისპირდებოდნენ. საბჭოთა პერიოდის საქართველოში ფილოსოფიური ტექსტების თარგმნის ჭრილში პირობითად რამდენიმე ფაზის გამოყოფა შეიძლება: პერიოდი სტალინური დიქტატურის დამყარებამდე (ამ პერიოდს ერთგვარი „იდეოლოგიური სიჭრელე“ ახასიათებს), თავად სტალინური დიქტატურის პერიოდი (რომლის დროსაც ცენზურა უკიდურესად აგრესიული და რეპრესიული იყო) და მომდევნო ეტაპი, რომლის პირობებშიც ფილოსოფიური ტექსტების თარგმნაზე უწინ არსებული მკაცრი შეზღუდვები მოიხსნა. აღნიშნული პერიოდების ანალიზი თვალნათლივ აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება თარგმანი გამოყენებული იქნეს იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული მიზნით. ამრიგად, საბჭოთა პერიოდში ფილოსოფიური ტექსტების თარგმანების ანალიზს შეუძლია მიგვიყვანოს უფრო სიღრმისეულ პრობლემამდე, კერძოდ, მეცნიერებისა და იდეოლოგიის ურთიერთკავშირზე. ამ კონტექსტში ლეგიტიმურია კითხვის დასმა იმის შესახებ, თუ როგორი დისკურსული მოცემულობების პირობებში ხორციელდება დღეს ფილოსოფიური თარგმანები და აღნიშნული ვითარების ანალიზი ძალაუფლებრივი მიმართებების ჭრილში.

საკვანძო სიტყვები: ქართული ფილოსოფიური აზროვნება, მეცნიერებისა და იდეოლოგიის ურთიერთკავშირი, ფილოსოფიური თარგმანები

Abstract: After establishment of a Soviet totalitarian rule, the free development of Georgian philosophical thought was greatly hampered. Translation of philosophical texts was subjected to strict selection and control from the ruling party. Under the Bolshevik party's rule only those philosophical texts were considered as important which unambiguously strengthened dictatorship of proletariat and were in stark opposition with 'bourgeois' worldview. With regard to translation of philosophical texts in Soviet Georgia three main phases can be outlined. The first phase (a period before the establishment of Stalin's dictatorship) was characterized by certain ideological heterogeneity. During the second phase (a period of Stalin's dictatorship) censorship was extremely aggressive and repressive in its operation. Finally, in the third phase, strict regulations on translation process were

lifted. The analysis of these periods clearly shows how translations can be used for ideological and propagandistic goals. Therefore, the analysis of translation of philosophical texts in Soviet Georgia can bring into the foreground another, more deep problem, namely, a relationship between scientific research and ideology. In this context it is legitimate to ask in what discursive settings are the translations of philosophical texts produced nowadays and to analyze existing constellation in the context of power relationships.

Keywords: Georgian Philosophical Thought, Relationship between Science and Ideology, Philosophical Translations

Eka TCHKOIDZE, Professeur, Université d'État Ilia, Tbilissi, Géorgie

შუა საუკუნეების ბერძნული საისტორიო მწერლობა და საქართველო

თეზისები: საისტორიო მწერლობა ბერძნული ლიტერატურის სწორედ ის დარგია, რომელმაც შუა საუკუნეებშიც განაგრძო განვითარება. შეიძლება ზოგიერთი ავტორი პროვიდენციალიზმის გავლენით მოვლენების სრულყოფილ ანალიზს ვერ გვთავაზობდეს, მაგრამ ამის მიუხედავად, ამ პერიოდის საისტორიო მწერლობა ნამდვილად არის მრავალფეროვანი და ძალიან ბევრი საყურადღებო ინფორმაციის შემცველი არამხოლოდ საკუთრივ ბერძნულ შუა საუკუნეობრივ სივრცეზე (ანუ ბიზანტიის იმპერიაზე), არამედ მის მეზობლებზეც. ამ პერიოდის საქართველოში აქცენტი ძირითადად სასულიერო მწერლობის ნიმუშების თარგმანზე გაკეთდა და საისტორიო მწერლობა ამ მხრივ შედარებით „დაიჩაგრა“.

მე-20 საუკუნეში სიმონ ყაუხჩიშვილმა შეკრიბა და თარგმნა ბიზანტიური მწერლობიდან ის მონაკვეთები, რომლებიც საქართველოზე გვაწვდიდნენ ინფორმაციას და რამდენიმე ტომად გამოსცა (სერია „გეორგიკა“). ამით მან დიდი დახმარება გაუწია ქართულ ისტორიოგრაფიას და იმ პერიოდისთვის ეს მართლაც წინგადადგმული ნაბიჯი იყო. იმის გათვალისწინებით, რომ აქ თავმოყრილია მხოლოდ საქართველოზე არსებული ინფორმაცია, ეს კრებული მკითხველს ვერანაირ შთაბეჭდილებას ვერ უქმნის შუა საუკუნეების ბერძენ ისტორიკოსებზე.

ექვგარეშეა, რომ თანამედროვე ქართველ მკვლევარსა და მკითხველს ესაჭიროება ზოგიერთი თხზულების მთლიანად თარგმნა. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მიქაელ ფსელოსის „ქრონოგრაფია“ (მე-11 ს.) და ანა კომნენას „ალექსიადა“ (მე-12 ს.). მათგან პირველი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერსონაა ზოგადად ბერძნულ სამყაროში. მას საქართველოში საკმაოდ კარგად იცნობენ როგორც მოაზროვნესა და ფილოსოფოსს. ფსელოსის, როგორც ისტორიკოსის წარმოჩენა ბევრს შესძენდა ქართულ ჰუმანიტარულ კვლევებს. ამასთანავე, პერიოდი, რომელსაც ის აღწერს (976-1077 წწ.), ყველაზე აქტიურია ბიზანტიურ-ქართულ პოლიტიკური ურთიერთობების თვალსაზრისით.

ანა კომნენა თავისთავად გამორჩეული ფიგურაა, რადგან შუა საუკუნეებში ქალი მწერლების რიცხვი ერთობ მწირია. მან თავის მამას, იმპერატორ ალექსი პირველ კომნენოსს (1081-1118) უძღვნა ვრცელი ნაშრომი „ალექსიადა“. ამ მხრივაც განსაკუთრებულია, რადგან მმართველის ბიოგრაფია მისი ასულის მიერ აღწერილი, თავისთავად იშვიათი მოვლენაა. შესაბამისად, ანას ნაშრომი ბევრ ემოციურ და გულისამაჩუყებელ პასაჟს შეიცავს, რაც მას ისტორიულ მნიშვნელობასთან ერთად დიდ მხატვრულ ღირებულებასაც ანიჭებს.

საკვანძო სიტყვები: ბიზანტია, საისტორიო მწერლობა, შუა საუკუნეები, მიქაელ ფსელოსი, ქრონოგრაფია, ანა კომნენა, ალექსიადა

Abstract: Medieval Greek literature boasts a large number of historical writings. At the same period a special emphasis was given to ecclesiastical works to be translated into Georgian. A systematical research of byzantine historiography started only in the 20th century. Simon Kakhchishvili, a prominent Georgian scholar collected and translated passages concerning Georgia and published them in a few volumes entitled “Georgica”. For that period, it was a huge contribution in development of medieval historical research in Georgia. Although, those extracts are not enough to have a clear picture about Byzantine historical writings.

For modern Georgian scholar and reader it is an urgent need to translate whole works. We would highly recommend “Chronographia/ Chronography” by Michael Psellos (11th c.) and “Alexias” by Anna Comnena (12th c.). The first one is one of the most interesting and controversial personalities in the whole Hellenic history. He is well known among Georgian scholars as a thinker and philosopher and his “historical” dimension would be of great importance to be studied. Besides, the period he covers (976-1077) is a crucial in Byzantine-Georgian relationships.

Anna Comnena is a special case as a female writer of medieval period. She dedicated a bulky work “Alexias” to her father Alexios I Comnenos (1081-1118). We do not have other examples when ruler’s biography was written by his daughter. So it will be interesting from not only historical point of view but also as a literary composition with many emotional and touching aspects.

Keywords: Byzantium, historical writings, medieval period, Michael Psellos, Chronographia, Anna Comnena, Alexias

Elene TSKHVARIASHVILI, PhD, Université technique de Géorgie, Tbilissi, Géorgie
მთარგმნელის სოციალური და დისკურსული იდენტობის გავლენა თარგმანის ხარისხზე

თეზისები: დღეისათვის არა ერთი ნაშრომი ეძღვნება იმ კითხვაზე პასუხის გაცემას, შესაძლებელია თუ არა მწერლობის ისეთ ტიპებად დაყოფა, როგორებიცაა „ქალური მწერლობა/მამაკაცური მწერლობა“. ამ საკითხის ირგვლივ, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსებს, ასევე თავად მწერლებს განსხვავებული შეხედულება აქვთ.

რაც შეეხება ქართველ მწერლებს, ვფიქრობ, მათი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მწერლობის ასეთი კლასიფიკაცია შესაძლებელია. აღსანიშნავია, რომ ასეთ დიქოტომიას - ქალური თარგმანი/მამაკაცური თარგმანი - თარგმანის შეფასების დროსაც ვხვდებით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნაირა გელაშვილის რომანი „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“, რომლის პერსონაჟები სხვადასხვა ენებიდან ქართულად ნათარგმნ ტექსტებს ორიგინალს ადარებენ. ერთ-ერთი მათგანი, შარლ ბოდლერის ერთი და იგივე ლექსის ორი სხვადასხვა მთარგმნელის მიერ განხორციელებული თარგმანის შედარების დროს, დაასკვნის, რომ მაშინვე იგრძნო, ამ ორი მთარგმნელიდან რომელი იყო კაცი და რომელი ქალი.

ჩვენს მოხსენებაში ერთმანეთს შევადარებთ შარლ ბოდლერის რამდენიმე ლექსის სხვადასხვა დროს მამაკაცი და ქალი მთარგმნელების მიერ განხორციელებულ თარგმანებს, რომ დავადგინოთ, რამდენად განაპირობებს მთარგმნელის ბიოლოგიური სქესი, მისი მსოფლხედვა (საგნების აღქმა, რომელიც მატერიალიზდება სტილში, ფორმაში, მეტაფორებში, ტონში და ქმნის ხმას, ტექსტის ხმას), მისი სოციალური და დისკურსული იდენტობა თარგმანის ხარისხს და შეგვიძლია თუ არა, ვისუბროთ ქალურ თარგმანსა და მამაკაცურ თარგმანზე. რა კრიტერიუმებით შეიძლება ასეთი განსხვავების დადგენა.

საკვანძო სიტყვები: მთარგმნელი, სოციალური იდენტობა, დისკურსული იდენტობა, ქალური თარგმანი, მამაკაცური თარგმანი

Abstract: To date, no work has been devoted to answering the question of whether it is possible to classify writing as "feminine / masculine". Both literary critics and writers themselves have a different view on this issue.

As for Georgian writers, I think most of them think that such a classification of writings is possible. It is noteworthy that we also encounter such dichotomy - feminine translation / masculine translation - when evaluating translation.

Naira Gelashvili's novel "The First Two Circles and Everything Else" is interesting in this respect, whose characters compare texts from different languages to the original Georgian. One of them, in comparing the translations of two different translators of the same poem by Charles Boder, concludes that he immediately felt which of the two translators was male and female.

In our report we compare translations of male and female translators of several poems by Charles Boder to determine the extent to which the translator's biological sex, his outlook (perceptions of material that materialize in style, form, metaphors, tone and sound, text sound), her social and discursive identity is the quality of translation, and can we talk about feminine and masculine translation. By what criteria can such a distinction be made.

Keywords: translator, social identity, discursive identity, feminine translation, masculine translation

Giorgi UGULAVA, Chercheur, Université d'État Iv. Javakhishvili de Tbilissi, Géorgie
*პოლიტიკური ტერმინოლოგია ანტიკური ეპოქის მხატვრულ ლიტერატურაში
და მისი თარგმანი*

რეზიუმე: ჩემი მოხსენება პოლიტიკური და სახელმწიფოს მოწყობის საკითხებთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის ანტიკურ მხატვრულ ლიტერატურაში ასახვისა და მისი თარგმანის საკითხს ეხმიანება. ანტიკური ლიტერატურა მაღალი ხარისხით პოლიტიკურია და უმეტეს შემთხვევაში მიმართებებს ავლენს თავისი ეპოქის პოლიტიკურ და ისტორიულ რეალობასთან.

შესაბამისად, პოლიტიკური ტერმინოლოგია მნიშვნელოვან გზავნილებს გადმოსცემს. ამ გზავნილების და, ზოგადად, ტექსტის სრულყოფილად თარგმანისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევაა: 1. ეპოქის ისტორიული კონტექსტის ცოდნა. 2. არსებული სახელმწიფოს მოწყობის ფორმების სრულყოფილი ცოდნა 3. თარგმანის დროს პოლიტიკური ტერმინოლოგიისთვის ადეკვატური შესატყვისების მოძებნა.

ჩემი მოხსენება წარმოადგენს ანტიკური ეპოქის მხატვრულ ლიტერატურაში პოლიტიკური ტერმინოლოგიის განვითარების დინამიკას (აქცენტი კეთდება რამდენიმე ძირითად პრობლემაზე: ტირანული ერთმმართველობა, ინდივიდის და სისტემის დაპირისპირება, რესპუბლიკური ტერმინოლოგიის პრინციპატის ფორმებისთვის მორგება ა.შ.) და მათი თარგმანის დროს კონტექსტის სრულყოფილად გადმოცემისთვის აუცილებელ გზებს და მეთოდოლოგიას.

საკვანძო სიტყვები: ანტიკური ლიტერატურა, პოლიტიკური ტერმინოლოგია, სახელმწიფოს მოწყობის ფორმები

Abstract: My paper is related to the political and state arrangement terminology in the Ancient Literature (Fiction) and the issues, how it should be translated. Ancient literature is highly, politically motivated and in the most cases is connected to the political and historical reality of its own age.

Ancient literature is immensely diverse and very often presents totally different and alternative opinions on the political issues.

Consequently, political terminology represents important messages. To understand and translate these messages we face some important challenges: a. Knowledge of historical reality of this era. b. Knowing the political and state arrangement forms. c. Finding adequate matching for political terminology during translation.

My paper presents the variety of political terminology in the Ancient Literature (Fiction) (Key points: Tyranny, individual vs. system, republic terminology in the early Roman Principate etc.) and necessary ways and methodology to translate it.

Keywords: Ancient literature, Political terminology, State arrangement forms.

Astghik VARDANYAN, Chercheuse indépendante, Erevan, Arménie

La place et l'importance de la traduction dans le monde contemporain

Résumé: De nos jours, on lit ou bien on jette un coup d'œil sur la traduction de plusieurs œuvres littéraires, réalisée non seulement par des gens qui sont spécialistes du domaine, mais aussi par des gens qui ne connaissent même pas les bases du processus de traduction. Ce qui fait qu'au fil des années, nous observons la diminution considérable de la qualité de la traduction des textes littéraires.

Pour révéler les causes de ces problèmes-là, il faut bien analyser le processus de traduction et de droit de publication actuel et ancien. Est-ce que la cause en est la "libéralisation" du droit de publier la traduction des textes qui pourrait causer une approche non-sérieuse à la traduction ?

L'absence de l'éthique aboutit à une perte des valeurs culturelles, nationales, etc., vu le fait que la littérature sert à découvrir les valeurs culturelles de tel ou tel pays. Cela nous montre qu'il faut prendre des mesures pour se battre contre ce phénomène négatif en sensibilisant des spécialistes, en mettant en place un certain contrôle, etc.

En guise de conclusion, il faut se souvenir des mots de José Saramago qui dit : «Les écrivains font la littérature nationale et les traducteurs font la littérature universelle».

Mots-clés: traduction, le monde contemporain, des problèmes, des solutions, les valeurs culturelles, la littérature universelle

Abstract: Nowadays, we read many literary works done by people who are specialists of the field and the people who even do not know the basic skills that are needed for the translation.

Firstly, it can cause many problems and the number of these errors increased during last few years and the quality considerably decreased. To reveal the causes of these problems, it is needed to analyse the process of the translation and the law that gives open access to publicize every kind of translation. Maybe the problems are caused by the "liberalization" of the publication of translated works. Or maybe this is due the education level? I can mention hundreds of factors that could influence this non-serious attitude towards translation.

In reality, our goal is not to just criticize the problems that are present in this field, but to put some efforts into the solution of these problems. I think that many people discover this or that country via its literature and its language. The lack of the code of ethics lead to the loss of some cultural and national values. This shows us that we have to take steps to prevent the development of this negative phenomenon by raising awareness of the specialists, to establish a certain control in this field etc.

To conclude, let just take a look at Jose Saragamo's quote: "Writers make national literature while translators make universal literature.

Keywords: translation, contemporary world, problems, solutions, cultural values, universal literature

Françoise WUILMART, Professeur émérite, Directrice du *Centre Européen de Traduction littéraire* (C.E.T.L.), Bruxelles, Belgique

Traduction et prise de sens... *Effi Briest* aux mains de trois générations

Résumé: Le texte original ne vieillit pas, dit-on, alors que les traductions vieillissent, et doivent sans cesse être remises sur le métier. Pourquoi ?

La première page du roman de Théodor Fontane, *Effi Briest*, est une page d'anthologie.

Trois traductions françaises de ce texte se sont succédé à un intervalle de 40 années. Je tenterai de démontrer que seule l'une d'elle n'est pas susceptible de « vieillir » tandis que les deux autres sont bien imprégnées de l'esprit et des goûts de leur époque.

J'évoquerai aussi la nécessaire retraduction de textes de Stefan Zweig réduits à une simple histoire et sans respect aucun du style ou du ton.

Est-il possible de fournir une traduction intemporelle ? J'en suis persuadée. J'énumérerai les critères qui me semblent pertinents pour valider une telle prouesse.

Mots-clés: traduction intemporelle, retraduction, prise de sens, «vieillir», respect du style et du ton

Lali ZAKARADZE, Professeur, BSU, Université de la nouvelle Géorgie, Archive scientifique et de recherche de la Philosophie caucasienne et de la Théologie, Tbilissi, Géorgie

ფილოსოფიური თარგმანი პოსტ-ტოტალიტარულ საქართველოში

თეზისები: მოხსენებაში გაანალიზებული იქნება საბჭოთა ჰუმანიტარული მეცნიერებისთვის დამახასიათებელი ის ტენდენციები, რამაც ხელი შეუშალა ჰუმანიტარული, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერების განვითარებას და ღიაობას. ეს ტენდენციები, უპირველეს ყოვლისა, ფილოსოფიური თარგმანების სპეციფიკაზე აისახა და ქართული საბჭოთა ფილოსოფიური მეცნიერების პერსპექტივების იზოლირებას შეუწყო ხელი.

ამ კონტექსტში უდავოდ საჭიროებს ანალიზსა და კლასიფიკაციას პოსტსაბჭოთა პერიოდში ფილოსოფიის, ეთიკის, პოლიტიკური ფილოსოფიისა და თეოლოგიის კლასიკური ტექსტების თარგმანები ქართულ ენაზე, ფრანკფურტის სკოლის პროგრამული ტექსტების თარგმნა და მათი მნიშვნელობის გააზრება ქართული ფილოსოფიის სამეცნიერო-კვლევითი პერსპექტივების გამრავალფეროვნების საკითხში. მოხსენებაში გავაანალიზებთ ქართული ფილოსოფიის სამეცნიერო კვლევების თარგმანებს ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ, იტალიურ და სხვა ენებზე, ამ კვლევების თემატიკასა და აქტუალობას.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შუა საუკუნეების დიდი ქართველი მოაზროვნის, ფილოსოფოსისა და თეოლოგის, იოანე პეტრიწის „პროკლეს

კომენტარის“ ძველი ქართული ტექსტის თარგმანებს დასავლურ ენებზე, რამაც ხელი შეუწყო პეტრიწის რეციპირების ხარისხის ამაღლებას დასავლურ ფილოსოფიაში, პეტრიწით და ზოგადად ქართული ფილოსოფიით დაინტერესებას, ქართული ფილოსოფიის კვლევის ახალი მეთოდოლოგიების დამუშავებას, ქართული ფილოსოფიის მიღწევების გააზრებას ევროპული ფილოსოფიის ჭრილში.

საკვანძო სიტყვები: ფილოსოფიური თარგმანების სპეციფიკა, ძველი ქართული ტექსტი, ქართული ფილოსოფიის კვლევის მეთოდოლოგია

Abstract: In my lecture I will analyze tendencies peculiar to Soviet humanities which hindered the development not only of humanities scholarship but also of social and political sciences in Georgia. These tendencies were particularly expressed in the translations of philosophical texts and they greatly contributed to the isolation of Georgian philosophical thought in the Soviet era.

In this context it is of due importance to analyze and classify translations of key philosophical and theological texts in Georgian (with particular emphasis on the translations of programmatic texts of Frankfurt School) and assess their significance in broadening the research perspectives in Georgian philosophy. Translations of Georgian philosophical works in English, German, Polish, Italian, and other European languages, topics of these works and their relevance will also be analyzed.

I want to pay particular attention to the translations of Ioane Petritsi's Commentary on Proclus' *Elements of Theology* in western languages. Petritsi was a great Georgian medieval thinker, philosopher and theologian. Translations of this old Georgian text into European languages have increased the reception of Petritsi in western philosophy, contributed to the rise of interest in Georgian philosophy, fostered the development of new research methodologies in Georgian philosophy and increased the understanding of the developments in Georgian philosophy in the wider context of European philosophy.

Keywords: Specifics of Philosophical Translations, Old Georgian Text, Research Methodology of Georgian Philosophy

Ludmila ZBANT, Professeur, **Nina ROSCOVAN**, PhD, enseignante, Université d'État de Moldova, République de Moldova

L'apport du textuel et de l'intertextuel dans la production du sens en traduction littéraire

Résumé : La traduction littéraire existe depuis bien longtemps et la qualité qu'elle faisait surgir lors de la lecture et ensuite de l'analyse des équivalents de tout niveau suscitaient plutôt des critiques (souvent très raisonnables) que des appréciations. Ces critiques constituaient en même temps un déclencheur de nouvelles visions théoriques ciblées au début sur des approches linguistiques, puis textuelles et

pragmatiques du processus de traduction. Sans aucun doute, on attend des traducteurs un haut niveau de créativité, mais aussi de responsabilité. Avec ça, nous pouvons constater, suite à la lecture des écrits traductologiques plus récents, qu'il existe une tendance visible d'aller au-delà du texte littéraire, mettant en avant le rôle de la personnalité du traducteur et donc, les exigences concernant ses compétences linguistiques, encyclopédiques et civilisationnelles, tout en privilégiant l'idée qu'il n'existe pas de limites de la créativité du sujet traduisant quand il opère avec les éléments de la dimension intertextuelle lors de l'opération de traduction littéraire. Ainsi, notre communication sera une possibilité d'ajouter des propos sur le co-fonctionnement des informations véhiculées par le texte ou venant de son intertexte, en vue de l'interprétation adéquate de l'information sémantique encodée dans l'original, pour ensuite enchaîner sur la construction de la sémantique textuelle dans la langue de traduction, sans oublier de prendre en compte le destinataire qui la parle. Les hypothèses théoriques trouveront un appui dans les exemples venant des textes en roumain, français et russe à travers lesquels on essaiera d'apprécier les interactions texte-intertextualité et les effets pragmasémantiques qui en résultent.

Mots-clés : traduction littéraire, intertextualité, créativité, stratégies de traduction, sens

Abstract: The literary translation has got a long tradition and, therefore, the quality it produced when reading and then analysing the equivalents of all levels has aroused more criticism (often quite reasonable) than appreciation. These criticisms acted as a trigger for new theoretical visions, initially targeted on linguistic approaches, followed by the textual and pragmatic approaches to the translation process. Undoubtedly, the translators are expected to have a high level of creativity, as well as, responsibility. Therefore, on the basis of the most recent writings in the field of translation, we can see that, there is a visible tendency to go beyond the literary text, bringing to the fore the role of the translator's personality and, thus, the requirements concerning his linguistic, encyclopaedic and civilizational competencies, while promoting the idea that there are no limits to the translator's creativity when he/she operates with the elements of the intertextual dimension during the literary translation process. Therefore, our paper shall be regarded as a possibility to come up with some additional comments on the co-functioning of the information conveyed by the text or the intertext, with a view to adequately interpret the semantic information, encoded in the source text, to further chain it in building the textual semantics in the target language, taking into account the addressee who speaks it. The theoretical hypotheses shall be supported by examples from texts in Romanian,

French and Russian, by which we will try to assess the text – intertextuality interactions, as well as, the resulting pragmasemantic effects.

Keywords: literary translation, intertextuality, creativity, translation strategies, meaning

ელენე ლელი აბაშიძე, პროფესორი, დომნა კარანაძე, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტი

თარგმნითი ტრანსფორმაციები გამონათქვამის ლექსიკურ კომპონენტთა დონეზე ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობის“ ინგლისურ თარგმანებში.

თეზისები: მოხსენებაში განხილულია ელისაბედ ორბელიანისა (პირველი ინგლისურენოვანი გაზეთი „The Georgian Massager“ - თბილისი, 1919) და მერი ჩაილდისა და აიდა ლომინაძის (გამომცემლობა „ბაკმი“, თბილისი, 2009) მიერ ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობის“ თარგმანების შედარებითი ანალიზი.

ვაჟა-ფშაველას ენა ფილოსოფიური სიღრმის ის შრეა, რომელიც განსაზღვრავს ერის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას, მის დამოკიდებულებას სამყაროსადმი, სიკვდილ-სიცოცხლისადმი.

ვაჟას-ფშაველას ენის ერთი მხრივ სირთულისა და მეორეს მხრივ, საოცარი ხატოვანების გამო, მთარგმნელებს მთელი რიგი სიძნელეების გადალახვა მოუხდათ. მთავარ გამოწვევად კი დარჩა აზრობრივი ინვარიანტის შენარჩუნება, რასაც ქმნის არა ცალკეულ ლექსიკურ კომპონენტთა მნიშვნელობათა ჯამი, არამედ ის აზრი, რომელსაც ეს ერთეულები ქმნიან კონკრეტულ სამეტყველო წარმონაქმნში.

„შვლის ნუკრის ნაამბობის“ სრულიად განსხვავებულ ეპოქაში შესრულებული თარგმანების ორიგინალთან ცალკეული კომპონენტების დონეზე შედარებისას შეპირისპირებულ ენათა სემანტიკური ველების სტრუქტურათა განსხვავება გამოიკვეთა.

მთარგმნელები ცდილობენ მეტნაკლები სიზუსტით მიყვნიენ ტექსტს, სამაგიეროდ ცდილობენ მოძებნონ ინგლისურ ენაში დედნის საოცარი ექსპრესიულობის შესაბამისი ადექვატური გამოთქმები და შეძლებისდაგვარად შეინარჩუნონ თხრობის დინამიკა.

ორი თარგმანისა და ორიგინალის, სამი სტატიკური ობიექტის შედარებამ წარმოაჩინა, რომ ექვივალენტურობა მიღწევადია არა მხოლოდ სტრუქტურულ-გრამატიკულ ფორმათა ექვივალენტურობით, არამედ განსხვავებულ ენობრივ ფორმათა კომბინაციებით.

ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობის“ თარგმანი, როგორც ელ. ორბელიანის, ისევე მერი ჩაილდისა და აიდა ლომინაძის მიერ შესრულებული,

მნიშვნელოვანი მოვლენაა ინგლისურენივანი სამყაროს მიერ ქართული ლიტერატურის შემეცნების თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: „შვლის ნუკრის ნაამბობი“, თხრობის დინამიკა, აზრობრივი ინვარიანტის შენარჩუნების პრობლემა

ნანა ტონია, პროფესორი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

მხატვრული ლიტერატურა და კულტურული მემკვიდრეობა

თეზისები: თანამედროვე სამყაროში საკმაოდ მწვავედ დგას გარდასულ საუკუნეთა მხატვრული გამოცდილების ღრმა გადააზრების პრობლემა, აგრეთვე იმ კანონზომიერებათა გამოვლენისა და დადგენის საკითხი, რომლებიც განსაზღვრავენ მემკვიდრეობითობისა და ნოვატორობის საზღვრებს. ეს საკმაოდ ვრცელი თემაა. მე შევეხები ამ თემის მხოლოდ ერთ სფეროს: 1. რა არის ის ფუნდამენტური თვისება ხელოვნებისა, რომელიც ტრადიციისადმი მიმართვისა და მისი მხატვრული გადააზრების საშუალებას იძლევა; 2. რომელი ეპოქის მემკვიდრეობის ნოვატორული განვითარება გამოდგა უფრო მნიშვნელოვანი; 3. აუცილებელი არის თუ არა ამ მემკვიდრეობას სრულყოფილად იცნობდნენ და, უფრო მეტიც, ფლობდნენ სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოში არსებული კულტურები. აქედან გამომდინარე, მოხსენებაში ვისაუბრებ იმ ფუნდამენტურ თვისებაზე, რაც გააჩნია ანტიკური ხანის მხატვრულ ლიტერატურას და რა განაპირობებს ამ ლიტერატურის თარგმნის აუცილებლობას სხვადასხვა ეროვნულ კულტურებში.

საკვანძო სიტყვები: თანამედროვეობა, ტრადიციულობა, ნოვატორობა, ფუნდამენტური, ანტიკურობა